საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 117 (137) შაბათი, 15 ივნისი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

14 ივნისს გამართული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის დაწყების წინ პარლამენტის ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის" წარმომადგენლებმა შემოიტანეს დრამატულობის ელემენტი. მათ განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან პარლამენტში დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა კანონებსა და სხვა პრინციპულ გადაწყვეტილებებს იღებენ დეპუტატების მიერ წინასწარ შეუსწავლელად, გამოთქვეს სურვილი, რომ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდოს რესპუბლიკურ პრესაში. სესიის თავმჯდომარესთან — საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან აკაკი ასათიანთან აზრთა გაზიარების შემდეგ კანონმდებლები შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან ყოველი მორიგი სხდომის წინ დეპუტატებს წინასწარ გააცნობენ განსახილველ კანონპროექტებს, უფრო სრულად გააშუქებენ განსახილველ პრობლემებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

შემდეგ განცხადებით გამოვიდა ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" დეპუტატთა ჯგუფის წარმომადგენელი მალხაზ კვანჭილაშვილი. განცხადებაში მწვავედ არის გაკრიტიკებული ფინანსური პოლიტიკა, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება, და აღნიშნულია ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსანთა სულ უფრო მზარდი გავლენა. ამ ჯგუფის აზრით მაფიამ ამ ბოლო დროს ფართო საქმიანობა გააჩაღა უკანონო გზით შეძენილი ფულის „გაკეთილშობილებისათვის".

საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, რომელმაც სცადა უარეყო განცხადებაში ნათქვამი და მხარი დაუჭირა დეპუტატთა წინადადებას, რომ შეიქმნას პარლამენტის სპეციალური კომისია მდგომარეობის შესასწავლად. კანონმდებლები დაეთანხმნენ ამას.

სხვა საკითხებს შორის, რომლებსაც ამ დღეს განიხილავდნენ დეპუტატები, უმნიშვნელოვანესი იყო ერთსულოვნად მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. იგი ეფუძნება რესპუბლიკის სუვერენიტეტის, სხვადასხვა ფორმის საკუთრების, მათ შორის კერძო საკუთრების განვითარების პრინციპებს, საქართველოს მთელი სამეურნეო კომპლექსის ერთიანობას. კანონში ნათქვამია, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, ექვემდებარება რესპუბლიკის კონსტიტუციას და მომავალი ეკონომიკური სისტემა აქ უშვებს როგორც თავისუფალ მეწარმეობას, ისე სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ეკონომიკასაც. მიღებული კანონის თანახმად, საქართველო ქმნის თავის ეკონომიკურ საზღვრებს და საკუთარ საბაჟო სამსახურს.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კონსტანტინე ფირცხალავას წარდგინებით განიხილეს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ კანონის პროექტი. მან ცხარე კამათი გამოიწვია, რადგან ზოგიერთმა დეპუტატმა მიიჩნია, რომ იქ იგრძნობა ბაზრის საწინააღმდეგო მიმართულება. კანონის ბედი გადაწყვიტა არგუმენტებმა, რომლებიც მოიყვანა სესიაზე მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით კანონის პროექტი მიიღეს.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილებანი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა გაწვევის და ვადამდე განთავისუფლების დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა არჩევის, ზოგიერთი მათგანის უფლებამოსილებათა ვადის გაგრძელების შესახებ.

დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ, აგრეთვე დროებითი დებულება ამ სამსახურის გავლის შესახებ.

უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში უკვე მიმდინარე წლიდან დაშვებულია ყველა დონის ფასიანი სასწავლებლების შექმნა და სწავლების ფასიანი სისტემის შემოღება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით მიღებულია გადაწყვეტილებანი ზოგიერთი სამინისტროს და დეპარტამენტის გაერთიანების შესახებ, დაინიშნა მათი ხელმძღვანელები.

სესიაზე განიხილეს სხვა აქტუალური საკითხებიც.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სესია.

გონდო დადვაძის და იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გაუქმების და მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შექმნის შესახებ

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და შეიქმნას მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და მათ ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის შემდგომი განვითარების, აგრეთვე საქართველოში უმაღლესი დონის ტურისტული ინდუსტრიის შექმნის მიზნით სპორტისა და ტურიზმის ინტეგრაციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის, საქართველოს უცხოეთის ტურიზმის გაერთიანების, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს, ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს „სპუტნიკის" ბაზაზე.
2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონიდან გამომდინარე უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გურამ ვალიკოს ძე აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გურამ ვალიკოს ძე აბსანძე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს კახი შალვას ძე ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კახი შალვას ძე ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი..

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავა საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს **ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძის** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის გაუქმების შესახებ

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში აღარ არსებობს კომუნისტური რეჟიმი, შეიცვალა საკუთრებისა და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები, მიზანშეუწონელია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის არსებობა. ამასთან დაკავშირებით **ვადგენ:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლ სამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის

განცხადება

ხალხების მარადიული მისწრაფება სოციალური სამართლიანობისაკენ მრავალგზის ქცეულა ბოროტების იარაღად ათასი ჯურის ავანტიურისტთა ხელში. ბოლშევიზმმა განსაკუთრებული ცინიზმით გამოიყენა ეს იარაღი, როცა, კომუნისტური ფრაზეოლოგიით შენიღბულმა, არსებითად მაფიოზური, ბანდიტური რეჟიმი შექმნა. დროთა განმავლობაში ამგვარი იდეოლოგიური ნაჭუჭი სულ უფრო ზღუდავდა მომძლავრებულ მაფიას, რომელსაც თავისი ნამდვილი არსის გამჟღავნება და უსაზღვრო შესაძლებლობათა ლეგალური ექსპლოატაცია ეწადა. იმპერიის მოდერნიზაციის გზით მისი გადარჩენის სურვილთან ერთად პრივილეგირებული მმართველი კასტის ხსენებული მისწრაფებაც „პერესტროიკის" ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა გახდა.

საქართველოს მოსახლეობამ საბოლოოდ გაიცნობიერა და გაითავისა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი მიზანი — დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენმა მოძრაობამ ხალხს ჩაუსახა მაფიოზური რეჟიმის დამხობისა და ტოტალური, ყოვლისშემძლე კორუფციის მოსპობის იმედიც და ეს იმედი რომ არა, ალბათ, გაჭირდებოდა მოძრაობისათვის ჭეშმარიტად რევოლუციური, მასობრივი ხასიათის მინიჭება.

როცა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, მან ხელოვნურად შექმნილი ქაოსისა და არასტაბილურობის ვითარებაში კიდევ უფრო გაიმაგრა პოზიცია ეკონომიკაში, ხოლო ეროვნული მოძრაობის რიგებში ჩანერგა თავისი აგენტურა, რათა დროებითი უკანდახევის შემდეგ მალევე დაებრუნებინა პოლიტიკური ძალაუფლება ეროვნული ხელისუფლების ნაწილის გარყვნისა და სათანადო ლობის ჩამოყალიბების გზით. იყენებს რა ნაცად იარაღს — კორუფციას, მაფია დღესაც წარმატებით ახორციელებს ამ გეგმას.

გასაგებია, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის საბოლოო დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სისტემის ძირეული ცვლილებით, მაგრამ ცხადია ისიც, რომ რეფორმათა განხორციელების პროცესში ბევრი მოისურვებს სახელმწიფოს ხარჯზე ხელის მოთბობასა და რეფორმის არასწორი მიმართულებით წარმართვას, რასაც შედეგად მოჰყვება დიდი სოციალური კატაკლიზმები. ამგვარი ვითარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაუყოვნებელი მოქმედება — გალაღებული მაფიოზური ძალების მოთოკვა პრევენტული დარტყმით. ეს პირველ რიგში ეხება იმ ადამიანებს, ვინც მართვის ახალ სტრუქტურებში მოკალათებულან და სახელს უტეხენ ეროვნულ ხელისუფლებას და მთლიანად ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

მათ, ვისაც კორუფციის ყოვლისშემძლეობის იმედი აქვს, შევახსენებთ, რომ რევოლუცია არ დამთავრებულა და ჩვენ კვლავაც ვეყრდნობით იმ ერთადერთ ძალას, რომელსაც მუდამ ვეყრდნობოდით — ხალხს. თუ მაფიოზური ელემენტები ჭკუას არ მოეგებიან, ხვალ ხალხს ისევ მოუწევს ქუჩაში გამოსვლა მათი თარეშის ასალაგმავად და ამ შემთხვევაშიც იგი იმოქმედებს ეროვნული ხელისუფლების დასაცავად და არა მის წინააღმდეგ, როგორც ეს მავანთა და მავანთ ეოცნებებათ.

მალხაზ კვანჭილაშვილი, ზურაბ ურიდია, თედო პაატაშვილი, ლევან ასათიანი, გოგი გულბანი, ბელა კობერიძე, თამაზ ოგბაძე, მედეა თუშმალიშვილი, ბიჭო კორძაძე, ზვიად ძიძიგური, პაატა ჩხეიძე, ბელა ჩორგოლაშვილი, ალეკო ახვლედიანი, თენგიზ დიხამინჯია, გურამ პეტრიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

რ. დ. კასრაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს რომან დავითის ძე კასრაძე ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე გათავისუფლდა ქ. ბათუმის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებით გათავისუფლდნენ:

ლია ნიკოლოზის ასული ანდღულაძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ზურაბ ვიქტორის ძე მინდელი — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან.

საქინფორმი.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები განაგრძობენ უტაბელო იარაღის ჩაბარებას სახელმწიფოსათვის. ჩაბარებულია იარაღის უდიდესი ნაწილი. უკანონოდ იარაღის ტარებას განვიხილავთ როგორც დანაშაულს და მოვუწოდებთ უკლებლივ ყველა პარტიას და ორგანიზაციას ჩააბარონ იარაღი. ვინც არ ჩააბარებს, პასუხს აგებს კანონის წინაშე.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ბლოკი.
საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

ტურიზმის ორგანიზატორთა და მოყვარულთა საყურადღებოდ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება კოოპერატივთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამეურნეო ამხანაგობათა და გაერთიანებათა უცხოეთის ტურიზმის საქმიანობის მოწესრიგების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა კოოპერატივთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამეურნეო ამხანაგობათა და გაერთიანებათა მიერ ორგანიზებული ტურისტული ჯგუფების გასვლა სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან. ვინაიდან ამ პუნქტისა და მისასვლელი საავტომობილო გზების გამტარუნარიანობა მცირეა, მეტად რთული სანიტარიულ-ეპიდემიური და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ვითარება იქმნება სარფში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასაზღვრო ზოლში.

შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ კოოპერატივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეურნეო ამხანაგობებსა და გაერთიანებებს დროებით აუკრძალა ტურისტული ჯგუფების გაყვანა საზღვარგარეთ სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან.

აღნიშნულ ორგანიზაციებს დაევალათ დაამთავრონ ანგარიშსწორება უცხოეთის ტურიზმთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით და გააუქმონ ეს ხელშეკრულებანი დადგენილი წესით.

საქინფორმი.

მთავრობის მოამბე

ფასები და კომპენსაცია

საცალო ფასების რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის ხარჯები. აღნიშნულ მძიმე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკომპენსაციო მექანიზმის ამოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს რესპუბლიკამ" ამა წლის 27 მარტს და 4 აპრილს გამოაქვეყნა ახსნა-განმარტებანი საკომპენსაციო მექანიზმის მოქმედების შესახებ, რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში დიდი რაოდენობით შემოდის როგორც მოსახლეობის, ასევე საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების შეკითხვები.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტის მიერ დასმულ საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესო შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი თამაზ გუგუშვილი.

— ბატონო თამაზ, რომელი კატეგორიის მომუშავეებს ეძლევათ კომპენსაცია, რამდენი და ექვემდებარება თუ არა იგი დაბეგვრას?

— კომპენსაცია უნდა გაიცეს საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) შტატში მყოფ ყველა მუშაკზე, მათ შორის პირებზე, რომლებიც მივლინებებში ან სამხედრო შეკრებებზე არიან, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როდესაც მომუშავენი დროებით არ იმყოფებიან სამუშაო ადგილზე და შენარჩუნებული აქვთ ხელფასი. მათ გარდა კომპენსაცია უნდა მიეცეთ 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებად შვებულებაში მყოფ ქალებს.

აპრილის თვის კომპენსაცია თავდაპირველად უნდა გაცემულიყო ხელფასზე სპეციალური დანამატის სახით, აბსოლუტური თანხით და ცალკე უწყისებით. იგი დაბეგვრას არ ექვემდებარება, პირველი (აპრილის) კომპენსაცია 60 მანეთს შეადგენდა, საერთოდ კი ცალკეულ საწარმოებს უფლება აქვთ დააწესონ კომპენსაციის გაზრდილი ოდენობა, თუ ამის საშუალებას იძლევა საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი.

შემდგომში კომპენსაციის თანხა შეაქვთ სატარიფო განაკვეთებსა და თანამდებობრივ სარგოებში საშტატო განაკვეთის შესაბამისად (მინიმალური კომპენსაციის 60 მანეთის დროს, ნახევარ განაკვეთზე — 30 მანეთი, მეოთხედ განაკვეთზე — 15 მანეთი და ა. შ.). ამრიგად, კომპენსაცია ხელფასის შემადგენელი ნაწილი ხდება.

ხელფასის გაზრდილი (კომპენსაციის ხარჯზე) ოდენობა დაიბეგრება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 22 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული საშემოსავლო გადასახადის ახალი სკალით. ამასთან ერთად 480 მანეთამდე გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი საწარმოთა ძირითად საქმიანობაში დაკავებულ მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასის ზღვრული დონე. 1 ივნისიდან კომპენსაცია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის სიდიდეში შევიდა.

— სხვადასხვა პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფების მუშაკთათვის თანაბარი საკომპენსაციო თანხების გადახდა ხომ არ გამოიწვევს მუშაკთა მატერიალური დაინტერესების დაქვეითებას და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები რა წყაროებიდან გასცემენ საკომპენსაციო თანხებს თავიანთ მომუშავეებზე?

სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთათვის საკომპენსაციო თანხის ერთიანი სიდიდის დაწესება იწვევს მოქმედ თანაფარდობათა შეცვლას (დიაპაზონის შემცირებას) მათი სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების სიდიდეთა მიხედვით, რაც, ცხადია, აქვეითებს მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას. ადრინდელი თანაფარდობის აღდგენა შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ წარმოების მოცულობის გაზრდისა და საწარმოო დანახარჯების შემცირების შედეგად.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები საკომპენსაციო თანხებს გაიღებენ საკუთარი სახსრებიდან. კომპენსაციების გადასახდელად გამიზნული სახსრების ანაზღაურების მიზნით საწარმოებს 1991 წლის მეორე კვარტალიდან შეუმცირდათ მოგების ანარიცხები 45-დან 35 პროცენტამდე.

აღნიშნული სახსრების უკმარისობისას საწარმოები, რომლებიც პროდუქციას ფიქსირებული ფასებით ასაღებენ, კომპენსაციის თანხას დაფარავენ შესაბამის ბიუჯეტებში გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ამ ბიუჯეტებში ფაქტობრივ შემოსულობათა პროპორციულად, იმ ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც საწარმოები ყოველთვიურად წარუდგენენ საგადასახადო ინსპექციებს. ბიუჯეტებში გადასახდელების შემცირების ხარჯზე კომპენსაციების გაცემის აღნიშნული წესი მოქმედებს 1991 წლის 1 ივლისამდე. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესის შეცვლას მოგვიანებით შევიტყობთ.

ზარალიან საწარმოებს, რომლებიც არსებული წესის თანახმად შეტანილი არიან ეკონომიკის სტაბილიზაციის არაბიუჯეტურ ფონდებიდან დაფინანსების ნუსხაში, კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯების თანხა აუნაზღაურდებათ ამ ფონდებიდან, წარდგენილი ყოველთვიური ანგარიშების შესაბამისად.

— რა სახის კომპენსაციები მიეცემათ 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის შვებულებაში მყოფ ქალებს საცალო ფასების მომატებასთან დაკავშირებით?

— სამეურნეოანგარიშიან და ბიუჯეტურ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისთვის ნაწილობრივ ანაზღაურებულ შვებულებაში მყოფ დედებს, რომლებსაც აქვთ 1 წლის მუშაობის სტაჟი (18 წლამდე ასაკის დედებს — სტაჟის მიუხედავად), და დედებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებას მოწყვეტით, ეძლევათ კომპენსაცია — 45 მანეთი, და 1991 წლის აპრილიდან ყოველთვიური დახმარება ბავშვის მოვლისათვის შეადგენს 115 მანეთს. ამასთან ერთად დედებს, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის მომუშავეებს, მიეცემათ საკუთარი კომპენსაცია — სულ ცოტა 60 მანეთი.

— მიეცემათ თუ არა ხელფასზე კომპენსაციები ქალებს, რომლებიც შვებულებაში არიან 1,5-დან 3 წლამდე ბავშვის მოვლის მიზნით?

— ეს საკითხი უშუალოდ საწარმოებში, მათი საკუთარი სახსრების შესაბამისად წყდება.

— როგორი კომპენსაციები მიეცემათ მოსწავლეებს?

— დაწესებულია ყოველთვიური კომპენსაციები — 40 მანეთის ოდენობით ბავშვებზე, რომლებიც არ ღებულობენ დახმარებასა და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის არსებული სისტემის მიხედვით. კომპენსაციები მიეცემათ 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებს, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის ყმაწვილებს, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა სასწავლებლებში და არ ღებულობენ სტიპენდიებს.

— რა წყაროებიდან და სად გაიცემა სხვადასხვა სახის კომპენსაციები ბავშვებისათვის?

— ყოველთვიური კომპენსაციები 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით, გაიცემა საწარმოებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ერთდროული დახმარებები ბავშვის გაჩენაზე, აგრეთვე 1,5 წლამდე, 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე დახმარებები და კომპენსაციები გაიცემა საწარმოებში სოცდაზღვევის ანარიცხების ხარჯზე.

დახმარებები და კომპენსაციები 1,5 წლამდე, 1,5-დან 6 წლამდე, 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, აგრეთვე ერთდროული დახმარებები ბავშვის გაჩენაზე და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული ყოველწლიური (კვარტალური გაცემით) ერთდროული დახმარებები გაიცემა დედის ძირითად სამუშაო ადგილას; როცა დედა არ მუშაობს, — მამის (ან მშობლების შემცვლელი პირების) ძირითად სამუშაო ადგილზე. სხვა შემთხვევებში კომპენსაციებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გასცემენ მშობლების (ან მშობლების შემცვლელი პირების) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— სად გაიცემა კომპენსაციები არამომუშავე, ქმართან გაცილებული ქალების ბავშვებისათვის?

— კომპენსაციები 16 წლამდე ასაკის (18 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიას) ბავშვებზე, 1,5 წლამდე ასაკის და 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით გაიცემა არამომუშავე, ქმართან გაცილებულ ქალებზე, რომლებიც ქორწინებაში არ არიან, ან ახალ ქორწინებაში არიან და ამავე დროს ბავშვი არ არის ნაშვილები დედის მეუღლის მიერ. კომპენსაციებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გასცემენ დედა-შვილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— თუ ქალი, რომელიც ნაწილობრივ ანაზღაურებად შვებულებაშია 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოსავლელად, ამ ვადის გასვლამდე გავიდა სამუშაოზე, მიეცემა თუ არა მას დახმარება და კომპენსაცია ბავშვებზე?

— ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულების ვადის გასვლამდე მუშაობის დაწყების შემთხვევაში დედას 1,5 წლამდე ბავშვებისთვის მიეცემა ყოველთვიური კომპენსაცია 40 მანეთის ოდენობით, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაცია საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით.

— გაიცემა თუ არა ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის გაძვირებასთან დაკავშირებით, ბავშვებზე სხვა სახის დახმარებებსა და კომპენსაციებთან ერთად?

— ყოველკვარტალური კომპენსაციები ბავშვებზე საბავშვო ასორტიმენტის გაძვირებასთან დაკავშირებით გაიცემა ნებისმიერ შემთხვევაში, ე. ი. მაშინაც, როდესაც ბავშვი ღებულობს სხვადასხვა სახის დახმარებას და პენსიას.

— რა სახით მიეცემათ კომპენსაციები პენსიონერებს, მათ კმაყოფაზე მყოფ პირთ?

— არამომუშავე პენსიონერებისთვის კომპენსაციების გაცემას ხელმძღვანელობენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და შემნახველი ბანკის დაწესებულებების მეშვეობით, პენსიონერთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კომპენსაციის თანხა შეადგენს 70 მანეთს.

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის კომპენსაცია მიეცემა ამ სახის პენსიის ყველა მიმღებს — 70 მანეთის ოდენობით. კმაყოფაზე მყოფი ყველა პირისთვის არამომუშავე პენსიონერები მიიღებენ კომპენსაციას 70 მანეთის ოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მათ პენსიაზე დანიშნული ჰქონდათ დანამატი კმაყოფაზე მყოფ პირთათვის.

პენსიის დანამატზე კომპენსაციის დანიშვნის გამო ოჯახის არაშრომისუნარიან 16 წლამდე ასაკის (მოსწავლეები 18 წლის და უფროსი) წევრებზე კომპენსაციების გადახდა სხვა საფუძვლების მიხედვით (დახმარებებზე, სტიპენდიებზე და სხვა) არ წარმოებს, გარდა საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული კვარტალური კომპენსაციებისა.

მომუშავე პენსიონერები კომპენსაციას მიიღებენ სამუშაო ადგილზე, ისევე როგორც სხვა კატეგორიის მომუშავენი, არანაკლებ 60 მანეთის ოდენობით.

— მიეცემათ თუ არა კომპენსაცია უმუშევრებს?

— ამჟამად, საქართველოს რესპუბლიკაში კომპენსაციის გაცემა გათვალისწინებულია, მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც განთავისუფლებული არიან სამუშაოდან 1991 წლის 1 იანვრის შემდეგ შტატების შემცირების გამო. ხდება ამ კატეგორიის პირთა აღრიცხვა შრომითი მოწყობის ცენტრებსა და ბიუროებში.

მალე, როდესაც რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიიღებს კანონს დასაქმების შესახებ და დაწესდება უმუშევრის სტატუსი, შეიქმნება დასაქმების რესპუბლიკური ფონდი, რაც საშუალებას მოგვცემს დახმარება და შესაბამისი კომპენსაცია მივცეთ უმუშევართა უფრო ფართო კატეგორიას.

— რა გაკეთდა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის ცენტრის მიერ განხორციელებული ფასების რეფორმის პირობებში?

— რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, მოიხსნა შეზღუდვები (ოჯახის 1 წევრზე მთლიანი შემოსავლის ოდენობა განსაზღვრული იყო 280 მანეთით) 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის დახმარების გაცემისას, აგრეთვე ბავშვებისათვის ყოველკვარტალური კომპენსაციების გაცემისას.

ოჯახის 1 სულზე ერთობლივი შემოსავლის ოდენობის მიუხედავად 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის როგორც მომუშავე, ასევე არამომუშავე დედებს მიმდინარე წლის აპრილიდან დაენიშნათ ყოველთვიური დახმარება 85 მანეთი.

რესპუბლიკის მთავრობის 1991 წ. 3 მაისის დადგენილების შესაბამისად, საკავშირო დონესთან შედარებით 5 მანეთით გაიზარდა კომპენსაციების ოდენობა 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, მარტოხელა დედების ბავშვებისათვის, ალიმენტის თავის ამრიდებელ მშობელთა ბავშვებისათვის, მეურვეობაში მყოფი ბავშვებისათვის, სამხედრო სამსახურში მყოფთა 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, პენსიონერებისათვის, მარჩენალდაკარგული ობოლი ბავშვებისათვის.

ესაუბრა
ლალი ქინქლაძე.

წერილი რედაქციას

გმადლობთ, მინისტრო!

ორგანიზაცია „სვანეთის" პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას სვანეთში მიგრაციის პროცესების რეგულირება შეადგენს. ათეული წლების განმავლობაში მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, საყოფაცხოვრებო პირობების სავალალოდ დაბალმა დონემ, განუკითხაობამ და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების უქონლობამ, რომელსაც დაერთო ბუნებრივი სტიქიური მოვლენები, სვანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი აყარა მშობლიური სანახებიდან. ეს უნიკალური რეგიონი რაჭის, ფშავ-ხევსურეთის მსგავსად დაცლის საშიშროების წინაშე დადგა.

სვანეთს აკლდა სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგება. კეთილმოწყობილი გზები, რადიო-ტელევიზია, კავშირგაბმულობის ნორმალური მომსახურება, და რაც მთავარია, რეგულარული ტრანსპორტი.

ასეთ ვითარებაში ორგანიზაცია „სვანეთის" ძალისხმევას მხურვალე თანადგომით შეხვდა ტრანსპორტის სამინისტრო, პირადად მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჩხეიძე, მისი მოადგილე ბატონი დემურ კაკაურიძე და ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ბატონი ზურაბ შალამბერიძე, რომლებმაც ბევრი, სვანეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა ოპერატიულად გადაგვიწყვიტეს.

მათს მამულიშვილურ რუდუნებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს სვანეთის სამივე რეგიონში — მესტიაში, ლენტეხსა და დალში დანიშნულია ავტობუსების ახალი რეისები. კერძოდ, ზუგდიდი–ბეჩოს შორის ახალი სამარშრუტო ავტობუსი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ხალხს, პირველად ათეული წლების მანძილზე ნორმალურად იმგზავრონ ამ მონაკვეთზე.

ორგანიზაცია „სვანეთის" საკრებულო დიდ მადლობას უხდის ბატონებს: ალექსანდრე ჩხეიძეს, დემურ კაკაურიძეს და ზურაბ შალამბერიძეს სვანეთის პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტისა და მზადყოფნისათვის — შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთონ ერის საკეთილდღეოდ.

ორგანიზაცია „სვანეთის" საკრებულო.

პრობლემა

ასეთი მშენებლობა დანაშაულია

ცნობილია, რომ საქართველო უაღრესად მცირემიწიანი ქვეყანაა. დამუშავებისათვის ვარგისი მიწის ფართობი რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 0,2 ჰექტარს არ აღემატება, მაშინ როდესაც უკრაინაში ანალოგიური მაჩვენებელია 0,71 ჰა, ხოლო ლიტვაში — 0,75 ჰა. როგორც ვხედავთ, ამ უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსით საქართველო რამდენჯერმე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი, ვიდრე აღნიშნული რესპუბლიკები. ამავე დროს, ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობების გამო, ჩვენ მიწებზე ბევრი ძვირფასი კულტურა ხარობს, უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში კი მათი დანერგვა არ ხერხდება. ცხადია, ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების მოვლა-პატრონობას, მათ რაციონალურ გამოყენებას. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ უმაღლესი კატეგორიის სავარგულები სისტემატურად ფართოვდებოდეს, პირიქით ხდება. სამელიორაციო სამუშაოებზე ვეებერთელა თანხების ხარჯვის მიუხედავად, საქართველოში ყოველწლიურად ათასობით ჰექტრით კლებულობს დამუშავებული მიწების ფართობი. 1960–1980 წლებში თითქმის 50 ათასი ჰექტრით შემცირდა ასეთი მიწები, ეს მაშინ, როცა ოფიციალური სტატისტიკის თანახმად იმავე პერიოდში საქართველოს თითქოს 45 ათასი ჰა ამოშრობილი მიწა შემატა. მრავალ სუბიექტურ ფაქტორთან ერთად, მიწების მწყობრიდან გამოსვლას იწვევს ბუნების ისეთი დამანგრეველი მოვლენები, როგორიცაა ღვარცოფი, მეწყერი, ეროზიული პროცესები.

მწყობრიდან გამოსული მიწების გადაუდებელი რეკულტივაცია დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ პრობლემად მიგვაჩნია. მის გადაჭრაში აუცილებელია რესპუბლიკის სამეცნიერო და სამეურნეო კადრების აქტიური თანამშრომლობა, რათა ძვირფასი სავარგულების აღდგენის პროექტები დაბეჯითებით დამუშავდეს და სამუშაოებიც შესაბამის დონეზე შესრულდეს. ქვემოთ თქვენი ყურადღება გვინდა მივაქციოთ ამ ელემენტარული მოთხოვნის დანაშაულებრივი უგულებელყოფის ერთ ფაქტს, რომელიც სამწუხაროდ, საკმაოდ ტიპიურია ჩვენი რესპუბლიკის ბოლო წლების სინამდვილეში.

რამდენიმე წლის წინათ ამ წერილის ერთ-ერთმა ავტორმა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ჩანგაშვილმა რომელიც დიდი ხანია, ბუნების სტიქიურ მოვლენებს და კერძოდ, თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს იკვლევს, წამოაყენა წინადადება წინანდლის დენდროპარკის იმ ფართობების აღდგენისა, წლების მანძილზე მდ. ცივისწყალზე (კისისხევი) მოვარდნილმა ღვარცოფებმა რომ წალეკეს. ხანგრძლივი დროის მანძილზე, ღვარცოფების დამანგრეველ მოქმედებაზე დაკვირვების შედეგად გ. ჩანგაშვილმა შეადგინა წინასწარი პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით. ეს დოკუმენტი განიხილა და მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ჯერ კიდევ 1985 წელს. პროექტი ითვალისწინებს 50-მდე ჰა მეტად ძვირფასი მიწის აღდგენას. ამ ღონისძიების განხორციელება არა მარტო გადაარჩენს წინანდლის უნიკალურ დენდრარიუმს შემდგომი ნგრევისაგან და შემატებს მას ახალ ფართობებს, არამედ შესაძლებელს გახდის თელავის მეზობლად შეიქმნას ახალი ბოტანიკური ბაღი, რომელიც გარდა პირდაპირი სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულებისა, შესანიშნავი რეკრეაციული ობიექტი იქნება საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლების წინანდლისა და კონდოლის ღვარცოფებისაგან დაცვა. ისევე როგორც ალაზნის ველზე ამ სოფლების მიმდებარე მიწებზე ვენახების წალეკვის აღკვეთა, რასაც ითვალისწინებს ხსენებული პროექტი.

მას შემდეგ, რაც წინასწარ პროექტს მხარი დაუჭირეს ცნობილმა სპეციალისტებმა, იგი მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და თელავის რაიონის ხელმძღვანელობამ, ხოლო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, 1986 წლის 28 იანვარს გასცა განკარგულება, რათა სახაგრომრეწვის კომიტეტს შეედგინა ტექნიკური პროექტი და განეხორციელებინა მშენებლობა. პროექტი იმავე წელს შედგა, მაგრამ სახაგრომრეწვის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მშენებლობას თავი ვერ მოაბა.

ავტორიტეტული ორგანიზაციების არაერთგზის ჩარევის შედეგად, მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 19 მაისს მიიღო ახალი დადგენილება, რომლის ძალითაც ადრე შედგენილი პროექტის საფუძველზე ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება დაევალა მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტს, მშენებლობა კი მინისტრთა საბჭოს მთავარ სამეურნეო სამმართველოს. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ მშენებლობის ორ ეტაპად გაყოფასა და არსებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ გეოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტებს და მშენებლობაც მათი უშუალო მეთვალყურეობით უნდა განხორციელებულიყო.

თუ მანამდე საქმე წლების მანძილზე ჭიანურდებოდა, ამჟამად უკვე ახალმა დამპროექტებლებმა და მშენებლებმა შესაშური „ოპერატიულობა" გამოიჩინეს. მათ მთლიანად უკუაგდეს ადრე შედგენილი პროექტი და უგულებელყვეს მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამუშაო პროექტის შედგენასა და განხორციელებაში გეოგრაფი. სპეციალისტების მონაწილეობის შესახებ. ნაჩქარევად შეაკოწიწეს ყოვლად დაუსაბუთებელი და უვარგისი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელსაც პირობითადაც კი არ შეიძლება ეწოდოს სამუშაო პროექტი, რადგან სრულიად არ ითვალისწინებს ღვარცოფების მოქმედების კანონზომიერებას, მათ დამანგრეველ ძალას. აი, ამ ყოვლად უმეცარი პროექტით გასული წლის იანვარში „დამკვრელური წესით" შეუდგნენ მუშაობას ცივისწყალზე. მიუხედავად მრავალი საპროტესტო განცხადებისა, მშენებლობა არ შეაჩერეს. ახალი „პროექტი" ყოვლად მიუღებელია არა მარტო იმიტომ, რომ ითვალისწინებს მხოლოდ 20 ჰექტარი ფართობის აღდგენას ისე, რომ მეორე ეტაპის მშენებლობა შეუძლებელი იქნება, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ მშენებარე დამცავ ჯებირს პირველივე სერიოზული ღვარცოფი წალეკავს. ასეთი დასკვნა გამოიტანა სპეციალისტების კომისიამ, რომელიც ადგილზე გაეცნო მშენებლობას შარშან ნოემბერში. ამრიგად, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა თითქმის მილიონი მანეთი. საოცარი ისაა, რომ მშენებლობა რესპუბლიკის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

მდგომარეობა რომ კიდევ უფრო არ გაუარესდეს, ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ ცივისწყლის ხევში მიმდინარე სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და 1986 წელს შედგენილი პროექტის ბაზაზე, გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების მიხედვით მშენებლობის განახლებას სპეციალისტების მკაცრი ზედამხედველობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები:
აკად. წ/კ ვახტანგ ჯაოშვილი,
პროფ. თამაზ კიკნაძე,
პროფ. რომან კვერენჩხილაძე,
პროფ. დავით უკლება,
პროფ. ზურაბ ტინტილოზოვი,
დოც. გიორგი ჩანგაშვილი.

სოფელი

მწყემსები უბრუნდებიან მშობლიურ მთებს

ივრის სათავეებში, მშობლიურ საძოვრებს დაუბრუნდნენ ცხვრის ფარები. წელს მათი გზა ყიზლარის ველებიდან სახლისაკენ უჩვეულო იყო: სამაჩაბლოში შექმნილმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა ესარგებლათ შეჩვეული მარშრუტით — ჯვრის უღელტეხილით. იძულებული გახდნენ წამოსულიყვნენ შემოსავლელი გზებით, ცხვარი ვაგონებითა და ავტომანქანებით გადმოეყვანათ. მწყემსების ცხოვრება ისედაც ხიფათიანია, დღედაღამ მოსვენება არა აქვთ. წელს კი ამ ჩვეულებრივ საზრუნავს ახალი გასაჭირი დაემატა.

— არა უშავს, მწყემსები ბევრისმნახველი ხალხი ვართ, — ღიმილით ამბობს 60 წელს გადაცილებული ილია ქართლელიშვილი. — მთავარია, ფარა შევინარჩუნოთ უდანაკარგოდ, ამის სურვილი ძალასა და სიხალისეს გვმატებს.

ვეტერანის სიტყვა, რომელმაც საყვარელ საქმიანობას ორმოცი წელი შეალია, საქმეს არ სცილდება. მისი ფარა, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, არა მარტო უდანაკარგოდ გადარჩა, არამედ საგრძნობლადაც შეივსო. ყოველ ას ნერბზე 84 ბატკანი მიიღეს.

ამჟამად სიმონიანთხევის მეურნეობის სარქლები მომავალი გამოზამთრებისთვის ემზადებიან. საკვების მომარაგება დროულად დაიწყეს და ბალახის უხვ მოსავალს იღებენ, ზამთარი კი მძიმეა მოსალოდნელი.

პაატა არჩვაძე,
საქინფორმის სპეც. კორ. თიანეთის რაიონი.

სურათებზე: ვეტერანი სარქალი ილია ქართლელიშვილი; ალპურ საძოვრებზე.
ავტორის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიმინალური ქრონიკა

სულ უფრო თავხედურად და გამომწვევად...

კრიმინოგენული ვითარება რესპუბლიკაში კვლავ დაძაბულია. ამ მხრივ არც გასული კვირა იყო გამონაკლისი. მოხდა 4 მკვლელობა, 16 ყაჩაღობა, 17 სახელმწიფო და 61 პირადი ქონების ქურდობა, 44 ავტოავარია, რომელთაგან 12-ს მოჰყვა მსხვერპლი.

დანაშაულის მოძალების გამო მოსახლეობა, ბუნებრივია, კითხულობს, სად არის მილიცია, რატომ არ ალაგმავს დამნაშავეებს? პრეტენზია ლოგიკური და სამართლიანია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მილიციას უაღრესად ძნელ პირობებში უხდება თავისი მოვალეობის შესრულება.

უფრო მეტიც, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო გახშირდა დამნაშავე ელემენტების მხრივ მილიციის მუშაკებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. გარდა ამისა არც ისე იშვიათია მილიციის მუშაკებზე თავდასხმა.

4 ივნისს ღამის პირველ საათზე ადიგენის რაიონში სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს იარაღის წართმევისა და დარბევის მიზნით თავს დაესხა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და მიიმალა.

7 ივნისს, დღის 12 საათზე ტყიბულის ზონის სოფელ გელათის ფართო მოხმარების საგნების ქარხნის კლუბში, სადაც მიმდინარეობდა სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხდომა, შეიჭრა ყუმბარებითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედთა ჯგუფი (ოთხი კაცი) და ჩაშალა სასამართლო პროცესის მსვლელობა.

იმის შიშით, რომ ხალხი არ დაეზიანებინა, მილიციამ ვერ გამოიყენა იარაღი. ბოროტმოქმედებმა კი რამდენჯერმე ისროლეს ჰაერში, ერთხელ — მილიციის მუშაკთა მიმართულებით, ჩასხდნენ უნომრო ავტომანქანა ვაზ-2106-ში და მიიმალნენ.

გელათიდან ქუთაისში მიმავალმა ბოროტმოქმედებმა სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოზე საგზაო საპატრულო სამსახურის ინსპექტორს გოჩა პატარიძეს იარაღის მუქარით წაართვეს მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, რამდენიმეჯერ ისროლეს საგუშაგოზე და მიიმალნენ.

იმავე დღეს ქალაქ ქუთაისში, ცენტრალური დაცვის პულტზე მიწოდებული სიგნალის საფუძველზე №2 საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე საკომისიო მაღაზიაში სამი ბოროტმოქმედის დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს მილიციის მუშაკებმა დაჭრეს ორი ბოროტმოქმედი — ქუთაისელები სტანისლავ სემიონოვი და ჟანი სტოანოვიჩი, რომლებსაც ბრალი ედებათ 6 ივნისს მოქალაქე იგორ სახარუკზე ყაჩაღურ თავდასხმაში.

მილიციის მუშაკებზე ყაჩაღური თავდასხმა მეორე დღესაც მოხდა. 8 ივნისს ღამის თერთმეტ საათზე სოფელ მოწამეთასთან მდებარე სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს ვაზ-2106 და ვაზ-2107 უნომრო ავტომანქანებით თავს დაესხა ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული 12-კაციანი ჯგუფი, რომლებიც იმუქრებოდნენ საგუშაგოს აფეთქებას. მერე კი ცეცხლი დაუშინეს მას.

მილიციის მუშაკებმა გასაფრთხილებლად ისროლეს, მაგრამ თავდამსხმელთა მიმართ ვერ გამოიყენეს იარაღი, რადგან იმ დროს გზაზე მოქალაქეები იმყოფებოდნენ. ბოროტმოქმედებმა კი არ დაინდეს მილიციის მუშაკები, დაჭრეს სამი მათგანი.

დადგენილია ერთ-ერთი თავდამსხმელთაგანი, სოფელ ორპირის მცხოვრები, უმუშევარი, ადრე ნასამართლევი ზაალ ცქიფურიშვილი, რომელმაც წინა დღითაც მიიღო მონაწილეობა ანალოგიურ თავდასხმაში.

8 ივნისს ახალქალაქის რაიონის სოფელ აფნიაში პისტოლეტებით შეიარაღებული სამი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა გიორგი მოსიძის ოჯახს, აწამეს ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე, გაიტაცეს 1000 მანეთი ფული. წასვლისას პისტოლეტის სახელური რამდენჯერმე ჩაარტყეს გიორგი მოსიძეს, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მიუთითებენ, რომ დამნაშავეთა სამყაროს მოქმედება სულ უფრო თავხედური და გამომწვევი ხდება, ამიტომ მილიციის მუშაკები უფრო გადამჭრელ ზომებს მიიღებენ მათ მიმართ.

გასულ კვირაშიც გრძელდებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ჩამორთმევა.

7 ივნისს თბილისში დავით გურამიშვილის ქუჩაზე საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა რეიდის დროს დააკავეს ავტომანქანა ვაზ-2107, სახელმწიფო № ა 6100 გგ, რომელსაც მართავდა თბილისელი დროებით უმუშევარი ვალერიან ბუკია. მასთან ერთად ავტომანქანაში იმყოფებოდნენ ზუგდიდის რაიონის მცხოვრებნი: ადრე არაერთხელ ნასამართლევი, უმუშევარი ემზარ ჰურღულია და ასევე ადრე მრავალჯერ ნასამართლევი რევაზ ჯიშკარიანი.

ემზარ ჰურღულიას პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ტტ-ს სისტემის პისტოლეტი ოთხი საბრძოლო ვაზნით, რევაზ ჯიშკარიანს — ნაგანის სისტემის რევოლვერი ხუთი საბრძოლო ვაზნით და სამ ცილინდრულ მინის ჭურჭელში ჩასხმული ნარკოტიკული სითხე. ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი ერთი მჭიდითა და 11 საბრძოლო ვაზნით.

კვლავ ხშირია სახელმწიფო ქონების ქურდობის შემთხვევები.

4 ივნისს სადგურ თბილისის მილიციის განყოფილების მუშაკებმა დააკავეს ბაქოს უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის მოსამსახურეები ვასილ შჩერბინი და იური ტევპაჩინი, რომლებმაც ტექნიკური საშუალების გამოყენებით გატეხეს ვაგონი და მოიპარეს 4 ცალი სარეცხი მანქანა.

სიღნაღის რაიმილიციის მუშაკებმა გამოავლინეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოს მცხოვრებნი შოთა გორაშვილი და ალექსანდრე ნასრაშვილი, რომლებმაც უცნობი სამხედრო პირისაგან სპეკულაციის მიზნით შეიძინეს 5496 ლიტრი საავიაციო ნავთი.

8 ივნისს, სოხუმში მილიციამ დააკავა ილიას ზაინულოვი, რომლის საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობა გაურკვეველია და რომელმაც 4 ივნისს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საეკლესიო სახლიდან მოიპარა 6 ხატი და 8 ივნისს საკათედრო ტაძარში მიჰყიდა სასულიერო სემინარიის სტუდენტს.

მილიციამ გასულ კვირაში დააკავა რამდენიმე ძებნილი. 4 ივნისს გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დააკავეს საკავშირო ძებნაში მყოფი მურმან გავაშელიშვილი, 8 ივნისს ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის მილიციის მუშაკებმა დააკავეს „კანონიერი ქურდი", საკავშირო ძებნაში მყოფი პაატა გორგიშვილი, 6 ივნისს დააკავეს ქუთაისის №2 საგამოძიებო იზოლატორიდან 4 მაისს გაქცეული არასრულწლოვანი თემურ ჩიჩელაშვილი, 8 ივნისს — ადგილობრივ ძებნაში მყოფი მხედრიონის წევრი ივანე მრელაშვილი.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში გახშირდა მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების მიერ ქალაქების ცენტრალური სატრანსპორტო მაგისტრალების, რესპუბლიკური საავტომობილო გზების გადაკეტვა, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობების თვითნებური დაკავება.

11 ივნისს დილის თერთმეტ საათზე თბილისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობის წინ რუსთაველის გამზირზე, ავტომანქანების სავალ ნაწილზე დასხდნენ ე. წ. „შავოსნები", მთლიანად გადაკეტეს ტრანსპორტის მოძრაობა დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე. მათი ასეთი მოქმედება გრძელდებოდა საათნახევრის განმავლობაში და აღიკვეთა მხოლოდ მილიციის აქტიური ჩარევით, იძულებითი წესით.

5 ივნისს წალენჯიხის სახალხო სასამართლოში ერთ-ერთი საქმის განხილვის მიმდინარეობით უკმაყოფილო მოქალაქეთა ჯგუფს სოფელ რუხთან ორი საათის მანძილზე გადაკეტილი ჰქონდა სოხუმი-ზუგდიდის ავტომაგისტრალი.

10 ივნისს სოფლების ჭუბერის, ხაიშის, ნაკრის და ლახამულის მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა გადაკეტა მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზა.

უკმაყოფილო აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს კარგა ხანია დაკავებული აქვთ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შენობის ნაწილი.

ამგვარ აქციებს უმეტესწილად საფუძვლად უდევს კერძო, ეგოისტური ზრახვები, ისინი ინსპირირებულია დესტრუქციული ძალების წაქეზებით.

ამ აქციებს არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ დემოკრატიასთან, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვასთან. ისინი სერიოზულ ზიანს აყენებენ რესპუბლიკას, მის ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, იწვევენ ქაოსს, არღვევენ ნორმალური ცხოვრების რიტმს, ძაბავენ პოლიტიკურ და ოპერატიულ ვითარებას, რასაც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებიან.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ასეთი ანტისაზოგადოებრივი უკანონო აქციების ორგანიზატორები და მონაწილეები მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206 (3) და 220 მუხლების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

მისმინეთ

წერილი რუსეთს

მე — ჯანსუღ ნიკოლოზის ძე ღვინჯილია, დაბადებული 1940 წელს, მწერალი, ავტორი თქვენთვის უცნობი წიგნებისა „გიორგი სააკაძის პიროვნება", „პოეტური ენერგია", „სული აღმაშენებელი", „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში", „ქართველი კაცის სინამდვილე", მრავალი კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიისა, გწერთ წერილს რუს ერს.

მრავალრიცხოვანი რუსი ერისათვის წერილის მიწერა განა მე მაიძულა საქართველოს გაჭირვებამ, ან გამაბედვინა შინაგანმა კადნიერებამ? არა, რა თქმა უნდა. მე ეს წერილი შთამაგონა საქართველოს მთელი ისტორიული პროცესის გაცნობიერებამ.

მიუხედავად იმისა, რომ გაგაცანით ჩემი ნაშრომების არასრული სია, ჩამთვალეთ, ვარ ჩემი ხალხის ყველაზე უმნიშვნელო წარმომადგენელი.

ყველა სხვა ქართველი ჩემზე უკეთ გეტყოდათ და გეტყვით კიდეც. მითუმეტეს უკეთ დაგელაპარაკებათ საქართველოს მთავრობა.

მე მასთან ჩემს სათქმელს ამჯერად არ ვათანხმებ. ამით ვხსნი ყოველგვარ პასუხისმგებლობას ყოველ ქართველს და საქართველოს მთავრობას.

თქვენც ჩათვალეთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ეს წერილი სათვალავში ჩასაგდები არ არის.

მე ვსარგებლობ მხოლოდ ერთი კაცის უფლებით, თავისი სიტყვა უთხრას რუს ერს, რაკი ამ სიტყვის უთქმელობა მას არ შეუძლია.

●

ჩემი ღრმა რწმენით, ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ადამიანს, აქვს ეროვნული გულისყური, რომელიც მოწოდებულია მოისმინოს მავანის გულისხმა.

ეროვნულ გულისყურს ღმერთი ჩუქნის ერს და ერი ცოცხლობს მხოლოდ მანამ, სანამ ეს გულისყური არ დაიხშობა.

წერილსაც ამ იმედით ვწერ — ვიცი, არსებითი სათქმელი ეროვნულ გულისყურს არ უსხლტება.

ამის თქმით, ცხადია, გარკვეულწილად ვაცხადებ პრეტენზიას, რომ ჩემს წერილში რაღაც არსებითი სათქმელია მოქცეული.

მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, შესაძლოა, რუსმა ერმა არ აღიაროს, ქაღალდი მოჭმუჭნოს და სანაგვეში მოისროლოს, ეს იქნება მექანიკური მოძრაობა. არსებითი სათქმელის ჭეშმარიტებას, ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული გულისყური იმახსოვრებს — ჭეშმარიტება არ იჭმუჭნება!

თუ მე რაიმეში შევცდი, მეპატიოს, ბოლოსდაბოლოს ჩემზე დიდი ადამიანები შემცდარან.

●

საქართველო და რუსეთი ისე შორდებიან ერთმანეთს, რომ რუსეთმა საერთოდ არ იცის, რა არის საქართველო, რა ქვეყანაა იგი, რა ერია ქართველი ერი.

თქვენ რომ წარმოდგენები გაქვთ საქართველოზე, სულ ზედაპირულია, მას არაფერი არ აქვს საერთო ქართველი ერის არსთან!

რატომ მოხდა ასე?

ჩემი პასუხი ასეთია:

რუსეთს არ ჭირდებოდა საქართველოს შეცნობა. რუსეთს ჭირდებოდა მხოლოდ დაპყრობა საქართველოსი. დაპყრობისათვის კმაროდა ის ცოდნა, ის ინფორმაციები, რაც მოიპოვა რუსეთის დაზვერვამ საქართველოს შესახებ. რუსეთი საქართველოში მოვიდა იმპერიული მიზნებით. პოლიტიკაში იმ არეალს, სადაც საქართველო მდებარეობს, ახლო აღმოსავლეთი ჰქვია. პოლიტიკას იმპერიული ვნებები ბადებს. ასეთი ვნებებით მარტო რუსი ერი არ ყოფილა შეპყრობილი და ამაში არც არაფერია გასაკვირი. არც არაფერია დასაძრახი-თქო, ვერ ვიტყვი, რადგან, როგორი ჩვეულებრივიც არ უნდა იყოს იმპერიული ტაციობა კაცობრიობის ისტორიაში, იგი მაინც კაცობრიობის უსამართლობად ჩაითვლება მომავალში, თუკი წონასწორობა შერყეულ კაცობრიობას ეს მომავალი უწერია. შესაძლოა, სულაც თავის პრესისტორიად ჩათვალოს კაცობრიობამ საშინელი ბრძოლებით აღბეჭდილი აქამდე გამოვლილი გზა და არა ყბადაღებულ ცივილიზაციის ეპოქად.

ახალი არაფერია იმაში, თუ ვიტყვი, რომ რუსეთი საქართველოში იმპერიული ზრახვებით მოვიდა. მთავარი სხვა რამ გახლავთ. იმპერიულმა ზრახვებმა დაისაჭიროვა არა შეცნობა საქართველოსი, არამედ დაპყრობა. რაკი შეცნობა მიზნიდან გამოირიცხა, საჭირო შეიქნა ერისა და ქვეყნის არსებიდან არა არსის ამოკითხვა, არამედ ნაკლისა და მანკიერი თვისებების შესწავლა, რადგან ის ნაკლი და მანკიერი თვისებანი უზრუნველყოფდა ქართველთა შორის კინკლაობას და საბედისწერო გათიშულობას. რუს ერსაც მეტი არაფერი აინტერესებდა. საამისოდ კრებდა ცნობებს. პირად საუბრებში, ქართულ სუფრაზე ჯდომისას, ქართველ თავადიშვილებთან დამოყვრებისას, პოლიტიკურ დიალოგებში, შეთანხმებებში... დაზვერვა, დაზვერვა — ერთი მიზნით — დაესუსტებინათ, გაეთიშათ და დაეპყროთ საქართველო.

იმპერიული ზრახვა ხომ დანაშაულია (ამიტომ ნიღბავენ მას), ამასთან იგი მიუტევებელი მკრეხელობაა, რადგან იმპერიული ზრახვა ზრდის მადას — ეპოტინება ღვთაებრივ თვისებას, მესიანიზმს. ერი მესიის როლში აყენებს თავის თავს, რა თქმა უნდა, მხოლოდ თეორიულად.

ერს უნდა ჰქონდეს ამ ცის ქვეშ თავისი მისია. მაგრამ ეს აკუსტიკურად ერთმანეთს დამგვანებული სიტყვები **მესია** და **მისია** ფანტასტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი — **მესია** უფლის ცნებაა, მეორე — **მისია**, ადამიანისა და ერისა. როდესაც ადამიანი და ერი თავის მისიას ივიწყებს ამქვეყნად და მესიანობაზე განაცხადებს პრეტენზიას, საბედისწერო შეცდომას ჩადის, ადამიანი და ერი, შესაძლოა, იყოს მესიის მახვილი — ბოროტების წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ საიდან თავად მესია?

ეროვნული მესიანიზმი მასშტაბური მკრეხელობაა. იგი თავისთავში გამორიცხავს ეროვნულ მისიას და ამდენად გამორიცხავს ერებთან თანადგომასაც. მისი შინაარსიც ივსება ფლობის წყურვილით, სხვათა ფლობის წყურვილით, ოღონდ მშველელის, მხსნელის (მესიის) ნიღბით.

ასეთი წყურვილი წარმოშობს მესიანისტურ თეორიებს, კონცეფციათა კასკადს, ისინი კონვეიერული წესით ენაცვლებიან ერთმანეთს. ერთს მეორე მისდევს, მეორეს მესამე... დროისა და სიტუაციის მიხედვით.

საბუთებს, არგუმენტებს ნუ მომთხოვთ, განა იმიტომ რომ მათი მოძიება არ შემიძლია, ან ვზარმაცობ? იმდენი არგუმენტის მოხმობა შემიძლია რუსი მემატიანეების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, სოციოლოგების, მწერლების, მეცნიერების ნაშრომებიდან, რომ, შესაძლოა, ციტატების ზღვაში ამოვიხრჩოთ, ასეთ დროს უთუოდ დაგვეკარგება ჩვენი სათქმელის მთავარი ხაზი, რომელსაც ჩვენ ბოლომდე უნდა მივყვეთ.

მართალია, მე რუსულ მესიანიზმზე ფიქრთან მიმიყვანა საქართველოს სვეს განსჯამ, მისმა ტკივილმა, მაგრამ არ იფიქროთ, რუსეთის ბედისწერაზე ლაპარაკი მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებით მაინტერესებდეს. არა იმიტომ რომ რუსეთის ჭირისუფლად მინდა თავი წარმოგიდგინოთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ კაცობრიობის ისტორიაში დადგა ჟამი, როდესაც ჩვენ მოვალენი ვართ, დავფიქრდეთ ჯერ მშობელი ერის, ხოლო შემდეგ იქვე, დაუხანებლად, სხვა ერების მისიაზე. რადგან დღეს უკვე მშობელი ერის მისია აღარ შეიცნობა სხვა ერების მისიის, იგივე დანიშნულების განსაზღვრის გარეშე.

კაცობრიობის არსებობის შინაარსმა სხვა თვისება შეიძინა!

იმპერიულმა ზრახვებმა საკუთარი ეროვნული მისია რომ დაავიწყა ყველა დამპყრობელ ერს, ეს კაცობრიობის მთელი წარსულით არის დადასტურებული. მაგრამ სიტყვა მისიას ხშირად ახსენებდნენ იმპერიული ზრახვებით ატაცებული დამპყრობლები. ცხადია, უფრო ხშირად, ვიდრე სიტყვა მესიას. მაგრამ ეს სულ თვალის ასახვევად. იქ, სადაც იმპერიული ზრახვები ბობოქრობენ, ერის მისია იძირება, იძირება ერის სულიერ წყობაში, ფსკერისაკენ მიდის და ათასობით მრე ეფინება ზედ. განა ერის საღი გონება ვერ ხედავს ამას? კარგად ხედავს, მაგრამ ერში გონების გარდა, ვნებებიც იღვწის და ვაი, რომ უპირატესად ის ვნებები მართავს მის საღ გონებას. დარღვეულია მათ შორის თანაფარდობა და დარღვეულია იგი ვნებების სასარგებლოდ. როდესაც იმპერიული ვნებები გაბატონდება, სატანის ეშმაკური ფიქრი ჩააფრინდება ადამიანის ტვინს, ერის ტონსაც და შეაპარებს მესიანისტურ იდეებს. სატანამ იცის, რომ მესიის უფლებამოსილება ღმერთის უფლებამოსილებაა, მაგრამ სწორედ ამიტომ შეაპარებს ღვთის საწინააღმდეგო მკრეხელურ სურვილს მთელს ხალხს.

ღმერთის კუთვნილ თვისებაზე ხელის წაპოტინება დიამეტრალურად ცვლის ყველაფერს. მკრეხელობაა და იმიტომ. მკრეხელობას კი რა ახსნა უნდა.

ახსნა ჭირდება მხოლოდ შედეგს. შედეგი სახეზეა. ერი იქცევა დამპყრობლად, ქვეყანა იქცევა იმპერიად.

და სადღაც ქრება ქვეყნის დანიშნულება.

ადამიანისა და ერის მისია ამ ცის ქვეშ ღმერთის თვისება არ არის, მაგრამ ამაღლებული თვისება კი არის.

ეს ღვთაებრივი თვისება ადამიანისა და ერის არსებობას სულ სხვა აზრსა სძენს ამ ქვეყანაზე.

სად არის და რაში მდგომარეობს რუსეთის მისია?

ახლა ის დაკარგულია, კარგა ხანია, დაკარგულია.

ერი კი, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი მისია, ცხადია, არ იკითხავს მეორე ერის მისიას. მას იმ მეორე ერის დანიშნულება ამ ცის ქვეშ საერთოდ არ აინტერესებს.

ამიტომ, შეერთებიდან ორასი წლის შემდეგ რუსეთი და საქართველო ისე შორდებიან ერთმანეთს, რომ რუსეთმა არ იცის რა არის საქართველო, რას წარმოადგენს ქართველი ერი!

თქვენ ნახულობდით ქართულ თეატრს, ნახულობდით ქართულ ფილმებს, თქვენ თარგმნიდით ქართულ ლიტერატურას, თქვენ ეცნობოდით ქართულ მეცნიერებას, თქვენ ისმენდით ქართულ სიმღერებს, თქვენ ათვალიერებდით ქართულ მხატვრობას, თქვენ შესცქეროდით ქართულ ხუროთმოძღვრებას, თქვენ თანამშრომლობდით ქართველ პოლიტიკოსებთან, თქვენ ისხედით და ქეიფობდით ქართულ სუფრაზე. თქვენ მოხიბლული იყავით, თქვენ არ მალავდით თქვენს აღტაცებას, თქვენ თითქოს ზუსტად აფასებდით.

თქვენ უყურებდით ქართველი ხულიგნების ღრეობას რუსეთის ქალაქებში, მათ უწესობას რესტორნებსა და სასტუმროებში, თქვენ სწყდებოდით მათ თავხედობას მაღაზიებსა და ბაზრებში, თქვენ ისმენდით უღირსი კაცების ფარისევლობას, მათ კნინობას ჭვრეტდით. დამცირებულიც გიხილავთ, მათი ჩინოვნიკური ხოხვა აღუბეჭდავს თქვენს მზერას. და ლიქნი, ლიქნი, ღირსებადაკარგული კაცის ლიქნი შეგიმჩნევიათ... რამდენი ჩამოვთვალო. თქვენმა მწერლებმა განა გაუშვეს შემთხვევა, ფაქტი, დეტალი, რომ არ აღენუსხათ ზადი ქართველი ერისა?

თქვენ თითქოს გაქვთ ნათელი წარმოდგენა ქართველ ერზე.

თქვენ საერთოდ არ იცით, რა არის ქართველი ერი, რას წარმოადგენს საქართველო!

ისე ვშორდებით, არაფერი არ იცით!

ასეთმა განცხადებამ, შესაძლოა, გაგაკვირვოთ თქვენ. თუკი მე ასე ვგრძნობ ქართულ თეატრს, კინოს, ლიტერატურას, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, მეცნიერებას, სიმღერას, ქართულ სუფრას, — სხვა რაღა დარჩა შეუცნობელიო.

თუკი მე ასე თვალნათლივ ვხედავ დაცემულ ქართველობის უღირსობას მაღაზიასა, ქუჩასა, ბაზარსა, რესტორანსა და სასტუმროში, ვხედავ მის ლიქნს და პატარა კაცობას, რაღა დარჩა შეუნიშნავიო.

პირველ შემთხვევაში თქვენ იხილეთ მხოლოდ ღირსებათა ზედაპირული ნიშნები.

მეორე შემთხვევაში დაინახეთ მანკიერი ბუნების ზედაპირული თვისებანი.

ესღა მოახერხეთ ამ ორასი წლის განმავლობაში. ან სულაც ექვსასი წლის მანძილზე, რადგან ექვსასი წელი კი იქნება, რაც თქვენი ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველო.

ეს ყოველივე მხოლოდ ზედაპირის ქაფია და მეტი არაფერი! თვით ის საამაყო ხელოვნება და ტრადიციები, რაც ვითომ შეამჩნიეთ თქვენ, მხოლოდ ზედაპირის ქაფია და მეტი არაფერი.

ზედაპირის ქაფია ის მანკიერებანი, რომლებიც თითქოს ღრმად გამოიკვლიეთ თქვენ. ზედაპირის ქაფია და მეტი არაფერი.

თქვენ ღირსებებს აკვირდებოდით იმ მიზნით, რომ გცოდნოდათ, რა იყო გადასალახავი ქართველ კაცში მათ სრულ დასაპყრობად.

თქვენ მანკიერებებს აკვირდებოდით იმ მიზნით, რომ გცოდნოდათ, რა შეგიწყობდათ ხელს ჩვენს იოლად მონელებაში.

დამპყრობლური მზერა სიღრმეში არ იჭრება. კიდეც რომ შეიჭრას, მაინც იმას დაინახავს, რაც ზედაპირზეა, რადგან დამპყრობლის მზერა მოკლეა, დაბნელებულია ის მზერა და ამაღლებულზე დაფიქრება არ უნდა. არ უნდა, იმიტომ რომ ამაღლებულზე დაფიქრება უმალ შეაჩერებს იმპერიულ ინსტინქტებს.

ამიტომ ის იცის რუსმა ერმა, რას წარმოადგენს ქართველი ერი. და, საერთოდ, კაცობრიობაში თითზე ჩამოსათვლელია შეცნობილი ერები.

რაკი მსოფლიო ასეთ ფაზაშია, ეს თითქოს გამართლებთ თქვენ, მაგრამ ყოველივე ეს დროებითი, წამიერი ნუგეშია. კაცობრიობას მოეკითხება ამ გლობალური ცოდვებისათვის და გამართლებას არც თქვენ უნდა ეძებდეთ თქვენი საქციელისას, ისევ თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე.

თქვენ, რუსმა ერმა არ იცით ქართველი ერი, იმიტომ რომ ქართველი ერის დანიშნულება არ იცით.

არც ჩვენ ვიცით წესიერად თქვენი დანიშნულება, იმიტომ რომ თქვენ საგულდაგულოდ გადამალეთ იგი, სადღაც წყვდიადში ჩაძირეთ.

თქვენ თქვენი მისიით არ მოსულხართ ჩვენთან. თქვენ თქვენი მისიით რომ მოსულიყავით ჩვენთან, მაშინ თქვენი გონების მზერა გაწვდებოდა ჩვენს ეროვნულ მისიას. ეროვნული გონის მზერა ეროვნულ მისიაზე გადის.

იმპერიულმა ვნებებმა და ზრახვებმა ეროვნული მისია მიჩქმალა და მზერა დაბინდა. და მზერა წვდებოდა მხოლოდ ზედაპირს.

ამიტომ ადვილი შეიქნა საკუთარი სინდისის დარწმუნება იმით, რომ ხედავდით თითქოს მხოლოდ სასიკვდილოდ განწირულ ხალხს, ვისაც თურმე ჩანთქმას უპირებდა მუსულმანური სამყარო, ხედავდით მუხლებზე დაცემულ ქართველ მეფეებს და დიდგვაროვნებს, რომლებიც თავს იმცირებდნენ რუსეთის იმპერატორების წინაშე.

თქვენ გაიიოლეთ სამართლიანობის არგუმენტები: თქვენი შემოჭრა თითქოს შველა იყო ქართველი ხალხისათვის, რომელიც სასიკვდილოდ იყო განწირული, რომ თქვენ არა.

თქვენ წარუდგინეთ კაცობრიობას ქართველი ხალხი, როგორც დამფრთხალი ცხვრის ფარა, ხან ერთ უფსკრულს, რომ აწყდებოდა გადასარჩენად და ხან მეორეს.

თქვენ ვინ მოგკითხავდათ, ვინ გაიძულებდათ, ვინ დაგავალებდათ დაგენახათ ქართველ ერში საკუთარი ისტორიული მისიის გამო ნაწამები ხალხი და ქვეყანა, ეს რიცხობრივად შემცირებული ერი, გორგალივით რომ შემოკვროდა საკუთარ ეროვნულ მისიას და მასთან ერთად დაპატარავებულიყო. ვინ დაგავალებდათ ამ არსის გახსნას.

ვერც ხედავდით, არც გსურდათ დაგენახათ, არც არავინ დაგაძალებდათ. კაცობრიობის სამართლიანობის წნევა განა ახლა რა სიმაღლისაა, მაშინ რა უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ეროვნულმა გონმა რუსეთისამ განა მართლა არ იცოდა, რომ ქართველი ერი საკუთარი მისიის აღსრულების გზაზე იტანჯებოდა და იგვემებოდა უმკაცრეს გარემოცვაში მოქცეული?

ის გონი, რომელმაც წაუყრუა რუსი ხალხის ეროვნულ მისიას და მესიანიზმში გამჯდარ იმპერიულ ზრახვებს მისცა გასაქანი, მართლა ისე ბრმა იყო, რომ საქართველოს დანიშნულება ვერ შეამჩნია?

კი ხედავდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა, მკრეხელური მესიანისტური იდეები აერიდებინა თავისი ხალხისათვის და მისიის აღსრულების გზაზე შეეყენებინა იგი.

ასე რომ, რუსეთის იმპერიამ ქართველი ხალხი მიიერთა არა როგორც დასაღუპად განწირული ერი — გადარჩენის კეთილშობილური მიზნით, არა! საქართველოს მისია დაიპყრო მან!

ასე მარტივი მოვლენა არ გახლავთ დაპყრობა, იგი არ ნიშნავს მხოლოდ მეორე სახელმწიფოს საზღვრებისა და ტერიტორიის ხელყოფას. ეს მოვლენა სიღრმისეულია.

ქართველ ხალხს შველა როგორ არ ჭირდებოდა, მუსულმანური სამყარო მის ჩანთქმას დიახაც ცდილობდა, მაგრამ საქართველოს რომ მხოლოდ თავისი არსებობის შენარჩუნება სდომოდა, ვინ უშლიდა, ირანი და თურქეთი მის გამაჰმადიანებას მოითხოვდნენ, თორემ სამეფო ტახტს ხელსაც არ ახლებდნენ.

საქართველო რუსეთს ფიზიკურ გადარჩენას კი არ სთხოვდა, მისიის გადარჩენას ავედრებდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მისია იყო გაეკეთებინა ეს. მფარველობაც ამიტომ სთხოვა.

რამდენი საუკუნის განმავლობაში იძახდა ქართველი ხალხი, ერთმორწმუნე რუსეთს მივმართოთ, ერთმორწმუნე რუსეთს ვთხოვოთ დახმარებაო. ერთმორწმუნეობაში იგი ერთი სულისკვეთების, ერთი მიმართულების სწრაფვას გულისხმობდა.

ამიტომ ეიმედებოდა.

გუმანით გრძნობდა, რომ მთლად ამაღლებულად არ ვითარდებოდა პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან, რომ იმპერიული ზრახვები დიპლომატიურ შეხვედრებში ხშირად აჩენდა თავის მახინჯ ბუნებას. მაგრამ ისტორიას არაფერი უკვირდა. ხსნაც არსაით იყო, და ჩააფრინდა ერთმორწმუნეობის მომხიბლავ შინაარსს. ის გამოიკვეთა არა მარტო რუსეთთან დამოკიდებულებაში, არამედ საკუთარ თავთან საუბრის დროსაც. როდესაც საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა, იმ ერთმორწმუნეობის შინაარსით ამშვიდებდა აშლილ ეჭვიან კითხვებს.

ავბედითი პოლიტიკის სწრაფ მონაცვლეობაში დროც არ ყოფნიდა ამაღლებულ კატეგორიებზე ხანგრძლივ ეფიქრა. და მითუმეტეს იმ ამაღლებული კატეგორიების პრინციპებზე დაყრდნობით ემართა საურთიერთო დიალოგები.

მდგომარეობა აიძულებდა დაეხუჭა თვალი, მოეტყუებინა თავი. მხოლოდ კარგი, მხოლოდ და მხოლოდ კარგი ეძებნა რუსეთის პოლიტიკურ ზრახვებში და როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო, სრულად გამომჟღავნდა ქართველი ხალხის ის შინაგანი მისწრაფებანი.

ტრაქტატი გვიდასტურებს, რომ ორი ერის ურთიერთობის შინაარსში ქართველი ერი ამაღლებული მიზნით ხელმძღვანელობდა. არ კარგავდა მხედველობის არედან თავის ეროვნულ მისიას. ტრაქტატი გვიდასტურებს, რომ მასში ქართველი და რუსი ერების მისიები სრულად არის გათვალისწინებული. თანადგომის პუნქტები და მოვალეობანი ერთმანეთის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ იმ მაღალი დანიშნულების გათვალისწინებით არის ნაკარნახევი. ამიტომ ხედავდა ქართველი ერი რუს ერში მფარველს, ხედავდა და ეძებდა კიდეც როგორც მფარველს, ხედავდა და მიისწრაფოდა მისკენ, როგორც მფარველისაკენ.

მაშ, რა ისეთი განსაკუთრებული ძალისხმევა ჭირდებოდა კავკასიონის ქედთან მომწყვდეული ორი ქრისტიანი ქვეყნის საქართველოსა და სომხეთის მოშთობას მუსულმანური სამყაროს მიერ.

საქართველოს საკუთარი მისია აცოცხლებდა, ეს მისია აბრძოლებდა, ეს მისია წამოაყენებდა ფეხზე მრავალგზის დაჩეხილს და დაღეწილს!

მან იცოდა, რომ ღირდა ამ მისიისათვის ბრძოლა. არათუ ღირდა, მოვალე იყო, ებრძოლა საკუთარი მისიის აღსრულებისათვის. იგი აწონასწორებდა თავისი სიმტკიცით, ბრძოლით და არსებობით მსოფლიო ძალთა თანაფარდობას, ინარჩუნებდა ქრისტიანული სამყაროს საზღვარს. „უბრალო სიცოცხლის" გადასარჩენად ასეთი ქრისტესებური ტანჯვა განა დასაჯერებელია?

უკვე დანახულია საქართველო, როგორც კავკასიის ქედზე გაკრული ქვეყანა (**ილია ჭავჭავაძე**).

მსოფლიოს ყოველ ქვეყანას თავისი განსაკუთრებული მისია აქვს და აქვს ეს განსაკუთრებული მისია საქართველოს. აქამდე ღვთიური საიდუმლოს შენახვისა და წონასწორობის დაცვის საპატიო მისია გახლდათ იგი. ხვალ იმ ღვთიური საიდუმლოს გამობრწყინების მისიად მოგვევლინება.

ყოველ ჭეშმარიტ ქართულ შედევრში, ხელოვნების ყველა დიდ ნაწარმოებში — რუსთაველშიც და ვაჟა-ფშაველაშიც, ჯვრის მონასტერშიც და „ჩაკრულოში", რომელთა სიღრმითა და სიდიადით მოხიბლულა რუსი ერი, ის მისიაა უკუფენილი — ამ ქვეყნად ქართველობის არსებობის დედააზრი! თქვენ ის დედააზრი არ შეგიმჩნევიათ. ზემოთ გითხარით, რატომ ვერ შესძელით ეს. რაკი ვერ შეამჩნიეთ, ხშირად გიკვირდათ კიდეც, საიდან ასეთი ბრწყინვალე ნაწარმოებები ამ პატარა ხალხში? იგივე მისია უკუფენილია არაერთ რაინდულ თვისებაში, რომლითაც ასევე მოხიბლული იყავით.

თქვენ, რუსმა ერმა ხელყავით საქართველოს მისია. თუ თქვენ ეს გააზრებული გქონდათ, მაშინ ცოდვა უმძიმესია, დანაშაული უპატიებელი. მე მაინც მგონია, რომ თქვენ დაბრმავებული იყავით იმპერიული ზრახვებით. თქვენ საკუთარი მისიაც დაგავიწყათ მან.

ამიტომ ჩვენ ვერ შევახვედრეთ ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს მისიები.

როდესაც თქვენ საქართველოში შემოხვედით, საკუთარი მაღალი მისიის არავითარ ნიშანი არ გეცხოთ. თქვენ უკვე დიდმპყრობელი იყავით.

რა აქნებოდა რუსეთისა და საქართველოს მისიების თანაბარ დონეზე შეხვედრის შემთხვევაში.

ჩვენ ახლა იდეალურის სფეროებზე დაფიქრება მოგვიწევს.

ერთა მისიებით შეხვედრა მსოფლიოს იდეალურ მდგომარეობას ქმნის. ჩვენ რეალურობის ჭუჭყმა ისე დაგვამძიმა, გვეღიზიანებს იდეალურზე ფიქრიც კი.

სანამ ერთა მისიების შეხვედრა რეალობად არ იქცევა, მანამ ბოროტებასა და სისაძაგლეს დასასრული არ ექნება.

რუსეთს რომ საქართველოს მისიის გადარჩენასა და აღორძინებაზე ეზრუნა, საკუთარ მისიას მისცემდა მწვანე გზას.

ქვეყანა, რუსთა ქვეყანა ღვთაებრივი სამართლიანობის გზით ივლიდა.

იგი ღმერთის ნება-სურვილს გამოხატავდა და გააცხადებდა ამით. კავკასიონის არეალში საქართველოსა და სომხეთის დანიშნულება — შაგრენის ტყავივით დაპატარავებული და დალეული, კვლავ თავის განსაკუთრებულ მოცულობას და შინაარსს დაიბრუნებდა.

რუსი ერი განიმუხტებოდა იმპერიული ზრახვებისაგან და აღმოსავლეთ ევროპაში ქრისტიანული სამყაროს ციტადელად მოგვევლინებოდა და ამით საკუთარი ეროვნული მისიის აღსრულებას შეიძლებდა.

თქვენ გახსოვთ ალბათ რაში მდგომარეობს რუსეთის ეროვნული მისია.

ერის გონს, მის ისტორიულ მეხსიერებას ახსოვს, ალბათ, თორემ მისი სრული წვდომა და სრული შეცნობა ასე ადვილი არ არის.

იგი არ დევს ზედაპირზე.

რაკი მისია დაკარგული გქონდათ, ან ღრმად იყო ფსკერზე დამარხული. რაკი საქართველოში დამპყრობლად მოხვედით, თქვენ უცერემონიოდ, უბოდიშოდ დაარღვიეთ გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლები.

გეორგიევსკის ტრაქტატის ყველა მუხლი დარღვეულია!

თქვენ გააუქმეთ საქართველოს სამეფო, ბუნებრივია, მოსპეთ სამთავროებიც.

თქვენ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია წაართვით.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა! იმპერატორს ქმნა ამისა პოლიტიკური ნაბიჯი ჰგონია მხოლოდ. რა დღესაც თქვენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეთ, საქართველოს მისიის მოსპობა განიზრახეთ. საქართველოს მისია სასაცილოდ არ გყოფნიდათ, ვიზუალურად მისიის მტვირთველი ერი კი არა, მუხლზე დაჩოქილი ცხვრის ფარა იხილვებოდა.

ცოდვის სიმძიმე არც გიგრძვნიათ, თითქოს დანიშნულებას კი არ ხელყოფდით, ღვთაებრივ სამართალსა და წონასწორობას კი არ არღვევდით, ერთ უმნიშვნელო დეტალს აუქმებდით.

თქვენ ქართველი ერის გარუსება მოიწადინეთ. ქართული ენა ძაღლის ენად გამოაცხადეთ და ყველა წნეხი აამუშავეთ, რათა ქართველები გაგერუსებინათ.

ენის მოსპობა ერის ქსოვილის მოსპობა რომ იყო, ეს უკვე ძალიან კარგად იცოდით. ფუნქციაზე არ ფიქრობდით, ღვთაებრივზე ფიქრით თავს არ იტკივებდით, თორემ ენის მოკვლით რასაც აკეთებდით, შესანიშნავად უწყოდით. არ უღრმავდებოდით იმ აზრს, რომ ენა, ავტოკეფალია და ეროვნული ქსოვილი ერთმანეთით არიან, ეროვნული მისიის საგნობრივი გაცხადება გახლავთ ისინი და ერთი მხარის წაშლით მეორე მხარეც წაიშლება.

დანარჩენი დეტალები გახლდათ — მსხვილი და წვრილი დეტალები. რუსეთის იმპერია ერთმანეთის მიყოლებით სპობდა ქართულ დეტალებს.

ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, უმალ დავინახეთ, რა მფარველიც ბრძანდებოდით. სამეფოს გაუქმებისთანავე გამოჩნდა თქვენი სახე. ბოროტების შენიღბვით არ იკლავდით მაინცდამაინც თავს. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც „ერთმორწმუნე" რუსეთი გვერჩია ყველა დანარჩენს. სარწმუნოება ილუზიას კი არ გვიქმნიდა, სარწმუნოება უბრალოდ იყო ნიშანი, რომელიც ჩვენს ერთად ყოფნას ახანგრძლივებდა.

ის თავისთავად იყო ერთი უმთავრესი პირობათაგანი, რისი წყალობითაც საქართველო რუსეთთან რჩებოდა. და ეს ხდებოდა მაშინაც კი, როდესაც იმპერია სარწმუნოებას ნიღბად იყენებდა და ქართულ სულსა და სხეულს ნთქავდა. ჩვენ ეს ვიცოდით და მაინც ერთად ვიყავით.

იმპერია სარგებლობდა ბოროტად იმით, რომ საქართველოს სხვა გზა მოჭრილი ჰქონდა.

თქვენ დაარღვიეთ გეორგიევსკის ტრაქტატის ყველა მუხლი.

ჩვენ ახლა ერთმანეთს ვშორდებით. ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, რადგან უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

თქვენ, ეტყობა, მოგეჩვენათ, რომ საქართველო იყო უმწეო და უსუსური, რაკი წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, რაკი თქვენს კალთაზე დაისვენა ჯვარცმული.

ჯვარცმული ქრისტე უსუსური იყო?

მაღალ ღმერთს რომელიმე ქვეყანას და თუნდაც საქართველოს პირადად მე როგორ შევადარებ, ამის უფლება ილია ჭავჭავაძის ბადალ პიროვნებებს აქვთ მხოლოდ. მაგრამ ერთი კი ფაქტია: უმწეო კაცს არ აწამებენ, არც ტანჯავენ. აწამებენ და ტანჯავენ დიდს, ამაღლებულს და გაუტეხელს, ვის არსებობასაც ამ ქვეყნად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთი იყო საქართველო, დიდი იყო, ამაღლებული და გაუტეხელი, ქრისტიანული და მუსულმანური სამყაროს საზღვარზე მხრებგაშლილი სული ქვეყნიერებისა.

აი, ამ დიდი საქართველოს ტანჯვა-წამება მოიწადინა ბნელეთმა. საუკუნების განმავლობაში ტანჯვის და უსასრულო ტანჯვისაგან სასომიხდილი დაეშვა თქვენს მკლავებზე, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა მფარველის კეთილი მკლავები.

ჯანსუღ ღვინჯილია.

(გაგრძელება იქნება)

საზღვარგარეთ

ერთმანეთს შეხვდებიან

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტოსიკი კაიფუ და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში შეხვდებიან ერთმანეთს ივლისში მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებული წამყვანი სახელმწიფოების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირის გახსნის წინ. ამის შესახებ ოფიციალური მორიგება მიღწეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში წარგზავნილი იაპონიის ელჩს რიოჰეის მურატსა და ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ბრენტ სკოუკროფტს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად, იუწყებოდა კიოდო ცუსინის სააგენტო.

იაპონია-ამერიკის უმაღლესი დონის ლონდონის შეხვედრის დროს ორივე მხარე აპირებს ძირითადი ყურადღება დაუთმონ საკითხებს, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისადმი ეკონომიკურ დახმარებას, და განიხილონ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების მონაწილე ქვეყნების პრობლემები, — აღნიშნავს სააგენტო „მაღალი თანამდებობის იაპონელ დიპლომატზე" დაყრდნობით. გაიმართა აგრეთვე აქტიური აზრთა გაზიარება კორეის ნახევარკუნძულზე, ჩინეთსა და კამბოჯაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ბრიფინგი ამერიკის საელჩოში

მოსკოვი (საქინფორმის კორ. დევი ბერძენიშვილი). სსრ კავშირის წარმოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რეზიდენციაში გამართულ ბოლო ბრიფინგზე ითქვა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ოფიციალურად გამოაცხადა საბჭოთა კავშირში ახალი ელჩის დანიშვნის ამბავი. ახალი ელჩი იქნება 72 წლის რობერტ შტრაუსი — გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე და თვალსაჩინო დიპლომატი. ბრიფინგზე იგი დაახასიათეს როგორც ნიჭიერი მეწარმე, რომელსაც დადებული აქვს არაერთი ხელსაყრელი გარიგება. რობერტ შტრაუსი ელჩად უნდა დაამტკიცოს ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა, მაგრამ ამ მხრივ ალბათ პრობლემები არ ექნება. ვარაუდობენ, რომ მისი დანიშვნა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებთან.

ბრიფინგზე ითქვა, რომ ამერიკის საქმიანი წრეები მზად არიან მხარი დაუჭირონ ნებისმიერ პერსპექტიულ პროექტს, რომლებსაც წამოაყენებენ როგორც ცენტრი, ისე ჯერ კიდევ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები. ყველაზე უფრო შესაძლო პარტნიორებს შორის დასახელებული იყო საქართველო. ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ თანამშრომლობის აუცილებელი პირობაა საზოგადოების დემოკრატიზაცია, ვინაიდან მბრძანებლური სისტემისაკენ მიბრუნება როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში, ამერიკელთა აზრით, უპერსპექტივოა.

ამასთან დაკავშირებით ახსენეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ამასწინანდელი განცხადება ბალტიისპირეთში მომხდარი იანვრის მოვლენების შესახებ და განიხილეს დღევანდელი ვითარება ამ რეგიონში. ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ ცალსახაა — მათთვის მიუღებელია სამხედრო ძალის გამოყენება, ისევე როგორც ცენტრის მიერ ნებისმიერი ფორმით რესპუბლიკების თავისუფალი ნების გამოხატვაზე ზემოქმედება.

აფინანსებენ ანტიკუბურ რადიოსადგურს

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა კომიტეტმა 24 ხმით 11 ხმის წინააღმდეგ სამშაბათს მხარი დაუჭირა 14 მილიონი დოლარის გამოყოფას ტელესადგურის „ტვ-მარტის" გადაცემათა დასაფინანსებლად. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მაშინ, როდესაც განიხილავდნენ კანონპროექტს 1992 საფინანსო წლისათვის მთავრობის ზოგიერთი დაწესებულების საქმიანობის ასიგნებათა გაღების შესახებ.

„ტვ-მარტი" ეთერში გამოვიდა დაახლოებით ერთი წლის წინათ. კუბის მთავრობას არაერთგზის განუცხადებია პროტესტი ამის გამო და აფრთხილებდა, რომ ჩაახშობდა ტელესადგურის გადაცემებს. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან არსებული მთავარი საანგარიშო სამმართველოს მონაცემების თანახმად, კუბამ ნამდვილად მიაღწია სატელევიზიო სიგნალების ეფექტიან ჩახშობას. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთმა კონგრესმენმა გაილაშქრა გადაცემების განგრძობის წინააღმდეგ, რადგან ეს სახსრების ხარჯვად მიაჩნია. მაგრამ ბუშის ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვს ტელესადგურის გადაცემების განგრძობას.

ნოვგოროდის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, კრემლი თვალსა და ხელს შუა ინგრევა.

ლ. შაპანის მოთხოვნა

ფილიპინის კონგრესის სენატის საგარეო პოლიტიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლ. შაპანიმ მოითხოვა გაიტანონ ბირთვული იარაღი ამერიკის კლარკფილდის ბაზიდან, რომლის ტერიტორია პინატუბოს ვულკანის ამოფრქვევის ზონაშია. რადიოთი გამოსვლისას სენატორმა აღნიშნა, რომ არსებობს ადგილის რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხე, რამდენადაც, როგორც ვულკანოლოგებმა გააფრთხილეს, მთის ფერდობიდან დაქანებულმა ლავამ და ცხელმა ტალახის ნაკადებმა შეიძლება წალეკოს ბაზის ბირთვული მუხტების საწყობები და შახტები.

რამდენიმე სტრიქონით

ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-ჯიჰადის" წევრი, 25 წლის იარის აბდელ ჰაკიმი, რომელსაც ბრალად ედებოდა შარშან ეგვიპტის სახალხო კრების თავმჯდომარის რაფატ მახგუბას მკვლელობა, ეგვიპტის უშიშროების ძალებთან შეტაკების შემდეგ დაიღუპა. იმავე დღეს უშიშროების ძალებმა გააუვნებელყვეს „ალ-ჯიჰადის" კიდევ რამდენიმე წევრი.

ჩინური გაზეთის „ჟენმინ ჟიბაოს" აზრით პეკინში გამოცხადდა, რომ დასრულდა უმუშევრობის დაზღვევის საერთო-საქალაქო სისტემის ფორმირება. ახლა ხვეწენ მის მექანიზმს, გაზეთი იუწყება, რომ ამჟამად სამუშაოდაკარგულ მოსამსახურეთა თითქმის 90 პროცენტი კვლავ ეწყობა სამუშაოდ.

მთავრობის მონაცემებით 1991 წლის 1 იანვრისათვის შეერთებული შტატების მოსახლეობამ მიაღწია 248,7 მილიონს. აქედან თეთრებია თითქმის 200 მილიონი, ზანგები 30 მილიონი. მოსახლეობის 80 პროცენტს კვლავ შეადგენენ ინგლისურენოვანი ამერიკელები. მექსიკელთა რიცხვი 13,4 მილიონია.

გუშინ საფრანგეთის დედაქალაქმა ცენტრალური გაზეთები ვერ მიიღო. გაფიცვა დაიწყეს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებმა. ისინი ხელფასის მომატებას მოითხოვენ. დღეს გაზეთების გამოსვლა განახლდა.

18 ივნისს დილით ინდოეთის ტელევიზიის გენერალურ დირექტორს შივა შარმს თავს დაესხნენ. იგი დაიჭრა, მძღოლი კი დაიღუპა. პოლიცია ვარაუდობს, რომ თავდასხმა სიქჰებმა განახორციელეს, რომლებიც ცდილობენ პენჯაბის შტატის ინდოეთიდან გამოყოფას და „ხალისტანის" სახელმწიფოს შექმნას. შივა შარმი არაერთგზის გააფრთხილეს, რომ მის ტელევიზიას შეეწყვიტა თავდასხმები სიქჰ პატრიოტებზე.

მიახლოებითი მონაცემებით ლენინგრადის მოსახლეობის 54 პროცენტმა ისურვა მათ ქალაქს დაუბრუნდეს ისტორიული სახელი სანკტ-პეტერბურგი.

საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ამჟამად გერმანიის დედაქალაქ ბონში იმყოფება, ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, — ახლა ნამდვილად დემოკრატი გავხდიო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებს „ისტორიული ნაბიჯი" უწოდა. მან განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს ვაშინგტონში შეხვდება 20 ივლისს.

ესტონეთის პრემიერი ედგარ სავისაარი რამდენიმე დღეს ფინეთში იმყოფებოდა. ფინეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ბორის ელცინი ესტონეთისათვის უკეთესი პარტნიორი იქნება, ვიდრე მიხეილ გორბაჩოვი. მაგრამ არც ელცინი მიართმევს ესტონეთს თავისუფლებას. პრემიერის აზრით, ბორის ელცინიც ძლიერ არის დაინტერესებული იმპერიის შენარჩუნებით.

ჩეჩენ-ინგუშეთის დამოუკიდებელი ჟურნალისტთა ორგანო „ნოვაია გაზეტაში" გამოქვეყნდა რესპუბლიკაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა გაეროსადმი. მიმართვამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის, ისინი მადლობას უხდიან ქართველ ხალხს და მის პრეზიდენტს გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

ბრიტანეთის მთავრობამ უარი უთხრა შოტლანდიის ნაპირებთან ღუზა ჩაეშვა საბჭოთა საკვლევ ხომალდს „აკადემიკოს ბორის პეტროვს". უარის მიზეზია ხომალდის სამეცნიერო საქმიანობის ზოგიერთი პროგრამის მიუღებლობა.

უზბეკეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს 48 წლის კომუნისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იულდაშევი. ამ პოსტზე მან შეცვალა იბრაჰიმოვი, რომელიც საკუთარი სურვილით გადადგა.

ბულგარეთის მთავრობამ მიაღწია ორ წამყვან პროფკავშირულ ცენტრთან დიდმნიშვნელოვან მორიგებას, რომელიც მოწოდებულია გამწვავებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პირობებში უზრუნველყოს ეკონომიკურ სფეროში დაწყებულ ცვლილებათა განგრძობა. შეთანხმებას ეკონომიკური რეფორმის შემდგომი განხორციელებისა და სოციალური მშვიდობის შენარჩუნების შესახებ ხელი მოაწერეს ბულგარეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ბულგარეთის დამოუკიდებელი სინდიკატების კონფედერაციისა და შრომის კონფედერაციის „პოდკრეპის" წარმომადგენლებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტების იმპერია

აღიარებანი მცირე კომენტარით

კითხვა: თქვენ მალავდით ფაქტებს კონტრრევოლუციური ჯგუფის მუშაობის შესახებ. აღიარებთ თუ არა ამას?

პასუხი: დიახ, ვაღიარებ. მტკიცედ გადავწყვიტე, შევწყვიტო გამოძიების შეცდომაში შეყვანა და ვასახელებ იმ პირებს, რომლებიც შედიოდნენ მემარჯვენეთა ფაშისტურ ორგანიზაციაში, ეწეოდნენ მავნებლურ საქმიანობას, ამზადებდნენ დივერსიას. იბრძოდნენ საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოყოფისათვის... ესენი არიან: 1. გამსახურდია კონსტანტინე — მწერალი, მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტი-ფაშისტი; 2. ჯავახიშვილი მიხეილი — მწერალი; 3. ჭიჭინაძე — მწერალი, ნაციონალისტი-ფაშისტი; 4. აბაშელი — მწერალი, მენშევიკი; 5. ტაბიძე ტიციანი — მწერალი; 6. მიწიშვილი — მწერალი"...

... ქართველ მწერალთა პირადმა საქმეებმა სუკის არქივებიდან ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში გადმოინაცვლა და მეორე უკიდურესობის წინაშე დაგვაყენა: რამდენად ეთიკურია სრულად გამოვამზეუროთ იგი?

ანთროპოლოგიური გარემო და ბედი იმ ადამიანთა, რომელიც ამ მოჩვენებითი სიზუსტით შედგენილ დოკუმენტებში იკითხება, მათ უსაზღვრო ლტოლვილებაზე მიგვანიშნებს. აქ აღარ არის სწრაფვა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, არამედ კანონზომიერების გარეშე არსებული, აბსურდის ქაოსში ჩაფლული აგონიაა. დაკითხვებზე ნათქვამი სიტყვები (რომელიც თავისი მნიშვნელობით უკვე საბედისწერო საქციელია) მის უკან მდგომის ცნობიერების გარანტიას არ იძლევა.... ეს გახლავთ არაადამიანური ძალადობის შედეგი „ხელმწიფებანი ბნელისა". როდესაც ფიზიკურად და სულიერად განადგურებული პიროვნება თავის და სხვის მაკომპრომიტირებელ დოკუმენტებს აწერს ხელს.

ყველა ჩვენება რუსულ ენაზეა შედგენილი. განსხვავებას ვერ მოუძებნით სპორტსმენის თუ მწერლის სტილს. ამ უპიროვნო სტილისტური ფორმის და ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე გადატანა ხშირად არაადეკვატურ შედეგს იძლევა. მაგალითად, სიტყვები — „Вербовка", „Запирательство" და სხვ. ვერ თავსდება ქართული ენის ქსოვილში...

ჩვენებები მოცემულია დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ეს დრო პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ დამუშავებას ეთმობოდა.

შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსის ა. ხაზანის ჩვენებიდან: „მეც და ჩემი ხელქვეითებიც ვიყენებდით ფიზიკური დასჯის მეთოდებს.

ეს ჩვენი პირადი ინიციატივა არ იყო. ხელმძღვანელობის მიერ იყო მითითებული: „ყველა საშუალება უნდა გვეხმარა, სანამ დანაშაულს არ აღიარებდნენ"...

ციხის ექთან თამარ ვესტევას ჩვენებიდან:

„1935 წლიდან ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში ექთნად. 1937 წლიდან მეორე სპეც. განყოფილებაში გადავედი. მე მიხდებოდა დასწრება ბრალდებულთა დახვრეტებზე, რომელიც, როგორც წესი, ხდებოდა ღამით, ავტომანქანის ფარების შუქზე.

დასახვრეტად ერთდროულად გამოჰყავდათ 300-400 კაცი. იქ ჩემი ყოფნა საჭირო იყო არა მოკლულთა რეგისტრაციისათვის, არამედ განაჩენის შემსრულებელთა დასახმარებლად. იყო შემთხვევა, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესში გამომძიებელ მაშერკინს გული წაუვიდა.

დახვრეტებზე ყოველდღე მივდიოდი. ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ გამომძიებლები: სავიცკი, კრიმიანი, ხაზანი, პონომარიოვი. ისინი დახვრეტის წინაც ცემდნენ სიკვდილმისჯილებს. ამ გამომძიებლების დახვრეტის პროცესზე დასწრება შეწყდა მას შემდეგ, რაც მაშერკინმა დაწერა პატაკი, რომ საგამომძიებლო სამსახურის მუშაკები აღარ წაეყვანათ განაჩენის მოყვანის ადგილზე...

დაკითხვების შემდეგ, როგორც წესი, პატიმრები სასტიკად ნაცემნი ბრუნდებოდნენ უკან, უმეტესად გულწასულებს შემოათრევდნენ. ამოგლეჯილი თითებით, სხეულზე ღრმა ჭრილობებით, სისხლის ჩაქცევებით... ფეხის გულები ცემისგან ატყავებული ჰქონდათ და დასისხლიანებული.

ეს ყველაფერი კეთდებოდა იმიტომ, რომ მიეღოთ ე. წ. „აღიარებები".

ციხეში „ცხელი" და „ცივი" კამერები იყო მოთავსებული. ცივი კამარა ქვემოთა „სართულში" იყო და მხოლოდ ზამთარში ფუნქციონირებდა. იატაკზე ყრიდნენ თოვლს. პატიმარი შეჰყავდათ სრულიად შიშველი.

ცხელი კამერა იყო ზაფხულობით. ის ჰერმეტულად იყო დახურული. შიგ ცხელი მილები გადიოდა და ორთქლის ოხშივარით იყო სავსე.

მედპერსონალს სასტიკად აკრძალული გვქონდა ამ კამერებთან ახლოს მისვლაც კი.

პატიმრები იქ იმყოფებოდნენ იქამდე, სანამ ყველაფერს არ „აღიარებდნენ"...

...ეს ხდება მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში, საბჭოური „მასების კულტურის" ჩამოყალიბების პროცესში, როცა ევროპის კულტურა უახლოვდება თავისი ცივილიზაციის იდეალს. სრულყოფას მიღწეული ინდივიდის წინაშე ახალი სიღრმით დგება ერთმანეთზე უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი ზოგადსაკაცობრიო პრობლემები.

„კულტურა ყველა სფეროში აერთიანებს ადამიანის და კაცობრიობის პროგრესს, იმ ნიშნით, რომ ინდივიდის სულიერ სრულყოფას ემსახურება, როგორც პროგრესის პროგრესს". (ა. შვეიცერი).

კონტრასტისათვის, — 1937 წლის „ლიტერატურული საქართველოს" მოწინავე:

„ამხანაგებო, განა შეიძლება ძველი კულტურა შევადაროთ ახალ, მებრძოლი მასების კულტურას?... მთელი მოსკოვის პრესა აღნიშნავს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას ღვაწლს ქართული საბჭოთა ხელოვნების წარმატებაში. მართლაც, ხელოვნების ფრონტის ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორი არის ამხ. ლ. ბერია. ყველა მიღწევა მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში და საერთოდ კულტურის ყველა დარგში მისი ბრძნული ხელმძღვანელობის და თაოსნობის შედეგია"...

ერთ-ერთი მწერლის დაკითხვის ოქმიდან:

„**კითხვა:** დაასახელეთ, ვინ მოგცათ მითითება ტერორისტულ აქტზე?

პასუხი: კონკრეტულად ვინ გასცა ეს მითითება, ჩემთვის ცნობილი არ არის.

კითხვა: რა მიზანს ისახავდა თქვენი ტერორისტული აქტი?

პასუხი: ჩვენს შეიარაღებულ რაზმს დაგეგმილი ჰქონდა გამოსვლისთანავე თავიანთ ბინებზე აგვეყვანა და დაგვეპატიმრებინა საქართველოს ცეკას მდივანი ლავრენტი ბერია და შინსახკომის მთელი აპარატი".

ამ სიტყვებს ხელს აწერს მწერალი-ესთეტი, ფიზიკურად საკმაოდ სუსტი, რომელმაც თურმე იარაღის ხმარებაც კი არ იცოდა...

დიმიტრი უზნაძის განმარტებით, საიდუმლოებითაა მოცული ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება. იგი მუდამ მოქმედია, მაგრამ ამავე დროს განსაცვიფრებლად პარადოქსული. ამიტომ მისი განვითარება არ არის ისეთი მარტივი, უბრალო კანონების განმახორციელებელი, როგორც გარეშე ბუნების ცხოვრება...

რა ლოგიკა წარმართავს ადამიანის ფსიქიკური დაძაბულობის უკიდურეს ზღვარს? ამ დაკითხვის ოქმების და ჩვენებების გარეგანი ფაქტით განსაზღვრა შეუძლებელია... ძალადობა სამართლიანობის ნიღბით ყველაზე გავრცელებული ტიპის ძალადობაა... და თუკი იმ ადამიანთა (მხედველობაში მაქვს მაშინდელი სუკის თანამშრომლები) ;დანიშნულებაზეც დავფიქრდებით და იმის გარკვევასაც შევეცდებით, რა ზრდიდა მათში ქვეცნობიერს, მხოლოდ ერთადერთი და ტრადიციული აზრით ვუპასუხებთ: ცხოვრებამ იცის რას და რისთვის ზრდის. იქნებ მათ სახეზე არეკლილი იმპერიის სიბნელე კაცობრიობას ასეთი ფორმით უნდა ეხილა, ასეთი ფორმით უნდა მისულიყო ჯალათი უკიდურეს ზღვრამდე, რომ ადამიანებს ნათელის აუცილებლობა გაეცნობიერებინათ.

...„მე ტყიბულის რაი-პროკურორის თანაშემწე მიქაძემ განვიხილე საქმე ბრალდებულ კოტეტიშვილი ვახტანგი ილიას ძის, ექიმ ლადო კოტეტიშვილის განცხადების საფუძველზე.

ბრალდებულს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე 1938 წ. 27 იანვარს დადგენილებით მისჯილი აქვს დახვრეტა..."

შემდეგ პროკურორის თანაშემწე იხილავს საქმეს და ადასტურებს, რომ განაჩენი სრულიად სამართლიანია, ვინაიდან კოტეტიშვილი ვახტანგი იყო აქტიური წევრი მემარჯვენე სოც-ფედერალისტების ორგანიზაციისა, ჰქონდა კავშირი საზღვარგარეთ, ეწეოდა მავნებლურ დამანგრეველ მუშაობას და ითრევდა აღნიშნულ ორგანიზაციაში ახალ წევრებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დასამყარებლად საქართველოში...

ტიციან ტაბიძის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: აშკარად ცდილობთ გამოძიებას დაუმალოთ თქვენი ჯაშუშური საქმიანობები და თქვენთვის ცნობილი პირები, რომლებიც სსრკ-ს წინააღმდეგ სადაზვერვო სამსახურში იმყოფებოდნენ.

პასუხი: პირადად მე ჯაშუშურ საქმიანობას არ ვეწეოდი და ჩემთვის ცნობილი არ არიან ის პირები, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სსრკ-ს წინააღმდეგ სადაზვერვო სამსახურში.

კითხვა: მოგვეცით ჩვენება თქვენი კავშირის შესახებ ლიტვის ელჩ ბალტრუშაიტისთან.

პასუხი: 1917 წელს მე, ტაბიძემ, მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა გავიცანი ბალტრუშაიტისი, როგორც პოეტი. 1924 წ. მოსკოვში ვიყავი ბალტრუშაიტისთან; რომელიც მაშინ სსრკ-ში ლიტვის ელჩი იყო. ვსაუბრობდით, რომ მას გადაეთარგმნა რუსთაველი. არავითარ ჯაშუშურ საქმიანობას მე მასთან ერთად არ ვეწეოდი..."

ალბათ ვერ წარმოიდგენდა ტიციან ტაბიძე, რომ ასეთი საჩრული დაედებოდა ურთიერთობას ლიტველ პოეტთან, ვისი სახელიც სახე-სიმბოლოსავით შეიტანა თავისი პოეზიის სახელების მასკარადში:

„თითქოს ჩასთვლემა
ბალტრუშაიტისს,
ვილონშნს შვენის ლომის
ფაფარი
და რუსთაველის მგზნებარე
შაირს
ზამთრის სინაზე გადაეფარა"...

ტიციანის შესახებ არსებული დოკუმენტებით, მოწმეთა ჩვენებებით, დაკითხვის ოქმებით „დასტურდება", რომ ტ. ტაბიძე არის უცხოეთის ჯაშუში, რომ იგი ემსახურება საფრანგეთის დაზვერვას, მწერალ ანდრე ჟიდის საშუალებით გადასცემს ჯაშუშურ ინფორმაციებს და ა. შ.

ერთი ქართველი მწერლის საქმეში პატარა ფურცელია ჩაკრული: „ბრალდებულმა განაცხადა: „თუ თქვენ ირწმუნებით, რომ მე ვარ დამნაშავე, გიცხადებთ რომ ბედი ცვალებადია. დღეს თუ თქვენ გვასამართლებთ, ხვალ შეიძლება ჩვენ გაგასამართლოთ. ჩვენ მივუთითეთ, რომ ასეთი ტიპის განცხადება შეიძლება გააკეთოს მხოლოდ ნამდვილმა ტროცკისტმა. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ აღნიშნული სიტყვები წამოსცდა გაფიცხების მომენტში და ითხოვა ოქმში არ შეეტანათ"...

...**კითხვა:** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: მასალები რაზეც ეყრდნობა გამოძიება მოცემულია თქვენივე თანამზრახველებისაგან. ისინი გასახელებენ, როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

პასუხი: არავითარი თანამზრახველები ისინი არ არიან. მათი ჩვენებები ბოროტი ცილისწამებაა.

კითხვა: ვის გულისხმობთ სიტყვებში „ისინი", „მათი"? მე ხომ ჯერ ისინი, თქვენი თანამზრახველები არ დამისახელებია?

პასუხი: — ვინც არ უნდა დაასახელოთ, არავითარი კავშირი არ ექნება სინამდვილესთან. არავითარი დამოკიდებულება ტროცკისტულ მუშაობასთან არ მქონია.

კითხვა: წინასწარ განგიზრახავთ თქვენი მამხილებელი მოწმეების კომპრომიტირება. ძალიან რისკიანი ნაბიჯია... აი, რა ჩვენებებს იძლევიან... (შემდეგ დასახელებულია მოწმეების გვარები, ჩვენებები, არგუმენტები კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობის შესახებ")..

იგივე მწერლის მეტამორფოზა რამდენიმე თვის შემდეგ:

კითხვა: განიზრახეთ თუ არა მისცეთ სწორი ჩვენება გამოძიებას?

პასუხი: დიახ, გადავწყვიტე ვთქვა სრული სიმართლე ჩემი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ, რადგან ჩემი ცხრათვიანი ბრძოლის შემდეგ საგამომძიებლო ორგანოებთან, დავრწმუნდი: ყოველგვარი წინააღმდეგობა უშედეგოა.

კითხვა: როდის დაიწყეთ კ/რ საქმიანობა?

პასუხი: კ/რ საქმიანობა დავიწყე 1921 წელს. 1923 წლიდან ვაწარმოებდი აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლას. ტროცკისტულ ბრძოლაში ჩავები და ჩავითრიე ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ წერეთელი, ხუნდაძე, კეკელიძე კორნელი, შანიძე აკაკი. ჩვენი მიზანი იყო საქართველოს ახალგაზრდებში ნაციონალისტური განწყობილებები გაგვეღვივებინა და შეგვექმნა ტროცკისტ-ფაშისტური ბირთვები.

კონტრრევოლუციონერ პროფესორ ივანე ჯავახიშვილის საშუალებით გადავცემდი ჯაშუშურ ცნობებს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ნოე ჟორდანიას და რამიშვილს საფრანგეთში და ახმეტელოვს გერმანიაში..."

...1926 წლის დამდეგს სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე კათედრაზე ავიდა მხრებში ოდნავ მოხრილი, ფერმკრთალი პავლე ინგოროყვა. — ნაციონალისტურ სულისკვეთების განმტკიცებას ქართულ შემოქმედ ინტელიგენციის წრეებში აქვს თავისი ახსნა და თავისი ისტორია, — თქვა ბატონმა პავლემ, — დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი ეს არის თავდაცვის იარაღი. ჩვენ გვაბრალებენ საბოტაჟს, მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით და ვმუშაობთ ქართული კულტურის ასპარეზზე, სადაც არის ჩვენი პირდაპირი მოწოდება... პოლიტიკანობა არ არის მწერლის საქმე... ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ სფეროში, რომლისთვისაც პირდაპირ მოწოდებულნი ვართ..."

ტრიბუნასთან მორიგეობით დგებიან ვახტანგ კოტეტიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია.

ვ. კოტეტიშვილი: ამხ. ფილიპე მახარაძემ წამოაყენა საკითხი, სახელდობრ, ქართული მწერლობა დღეს გარკვევით უნდა აცხადებდეს: იღებს რევოლუციას თუ არ იღებსო. მე მგონია, საკითხის ასე დასმა ყოვლად წარმოუდგენელია. ეს ერთგვარ ანაქრონიზს წარმოადგენს...

კ. გამსახურდია: ...თუ აილე ბაგრატიონების ხანა, იტყვიან ბაგრატიონების მომხრეაო, როიალისტიაო. თუ მენშევიკების ხანას შეეხე, ეჭვის თვალით შეგხედავენ ზოგიერთები... მე მაქვს სურვილი დავწერო ფანტასტიური რომანი: „საქართველო ხუთი ათასი წლის შემდეგ". მინდა გამოვიყვანო საქართველო ყველაზე ძლიერი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე მშვენიერი და განა ეს იმას ნიშნავს, რომ არსებულ საქართველოს თოვლს ვესვრი? მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კულტურის არსებობის მთავარი საკითხი არის ქართული კულტურის ჰეგემონია საქართველოში. თუ ხელისუფლება გვეტყვის, რომ ეს არ შეიძლება, — უმართებულო იქნება!".

გამოდის კრიტიკოსი ბახტაძე: გამსახურდიამ თქვა, რომ მისი მუზა დუმდა, როდესაც რევოლუციის ზარბაზნები გრგვინავდნენ, მაგრამ როდესაც ზარბაზნების ქუხილის შემდეგაც სდუმდა გამსახურდია, ეს დუმილი იყო ერთგვარი სიმპატია სხვა რამესი...

კ. გამსახურდია: ამ ხუთ წელიწადში არ ვდუმდი.

ვ. ბახტაძე: თქვენ არ სდუმდით იმგვარად, როგორც არ სდუმდი ჟურნალ „ილიონში" და ეს არდუმილი რევოლუციისთვის უარესი იყო, ვიდრე თქვენი დუმილი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ისე არ სდუმდით, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი რევოლუცია!..

გადის წლები და ოფიციოზი მკაცრად მიუთითებს, თუ როგორი არ უნდა იყოს დუმილი, და როგორ უნდა აღიმაღლოს ხმა მწერალმა.

1937 წ. ლიტერატურული საქართველოს მოწინავე, სათაურით „სიკვდილი მუხანათურ მტერს! ზიზღი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს!"

„მწერლობის სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა მწერლები, რომ გამოეთქვათ თავისი აღშფოთება ქართველ მწერლებში აღმოჩენილ ტროცკისტების გაუგონარი მოღალატეობისა და მზაკვრული გამცემლობის გამო. ჩვენ ვერ ვპოულობთ ამ არამზადების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ანალოგიებს. ამიერიდან თვით მათი სახელი გადაიქცევა ადამიანთა ყველაზე უსაძაგლესი ბოროტების და დანაშაულის აღსანიშნავ სიტყვად...

ზიზღი სამშობლოს
მოღალატეებს,
უსასტიკესი განაჩენი მათ!"

„რით აიხსნება, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები ისე გულუბრყვილონი და ბრმანი აღმოჩნდნენ, რომ ვერ მოახერხეს დაენახათ ხალხის მტრების ნამდვილი სახე? — სვამს გამანადგურებელ კითხვას იოსებ სტალინი, — მათ ვერ მოახერხეს ამოეცნოთ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, ვერ მოახერხეს ჩამოეგლიჯათ ნიღაბი? მავნებლური და დივერსიული მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოს აგენტებისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ შესაძლოა იყოს ჩვენთვის მოულოდნელი? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ამას გვეუბნებიან ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებული აქტები"...

ქართველი მწერლის დაკითხვის ოქმიდან:

„**კითხვა:** აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ, რომ აწარმოებდით ჯაშუშურ ქმედებებს უცხოურ სახელმწიფოთა სასარგებლოდ?

პასუხი: დიახ ვაღიარებ, რომ ვიყავი უცხოეთის დაზვერვის აგენტი.

კითხვა: რა სახის იყო თქვენი ქმედებები? რა თეორიებს ანვითარებდით?

პასუხი: დიახ, ვანვითარებდით რასობრივ თეორიებს, ქართული რასის გამორჩეულობის შესახებ.

კითხვა: მოგვიყვანეთ „კონკრეტული ფაქტები.

პასუხი: 1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილი სპეციალურად იკვლევდა თავისი სისხლის ანალიზს იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა თავისი არიული წარმომავლობა.

კითხვა: გვიამბეთ გრ. რობაქიძის ფაშისტური საქმიანობის შესახებ.

პასუხი: გრ. რობაქიძე იყო ქართული ფაშიზმის პირველი იდეოლოგი. ამ ორგანიზაციის ფაქტიური დამაარსებელი.

ამ ფრაზებს ხელს აწერს ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი, დათრგუნვილი ადამიანი, მაგრამ რა იმპულსი ამოძრავებს, ვთქვათ, 1974 წლის „ლიტერატურულ საქართველოს", როცა მოულოდნელად იხსენებს გრიგოლ რობაქიძეს და სათაურით „მოღალატის გზა" ფაშიზმის და ნაციზმის პირველ აპოლოგეტად გამოჰყავს?...

შემდეგი საქაღალდე: ნიკოლო მიწიშვილი. „დანაშაული ედება იმაში, რომ იყო ფაშისტურ-ნაციონალისტურ ტროცკისტული ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას უცხოეთის დაზვერვასთან ერთად. მხილებულია მოწმეებიც. (ჩამოთვლილია მოწმეები) ჩვენებებით. თავი დამნაშავედ ცნო.

საქმე გადაეცეს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას"... დოკუმენტების მიხედვით ჯერ მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა, მერე სასამართლომ გამოცხადდა განაჩენი. აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა წინაშე ბრალდებულს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს.

და ბოლოს პატარა ცნობა: „სრულიად საიდუმლოდ. ნიკოლოზ მიწიშვილის დახვრეტის განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. ქ. თბილისში, 1937 წ. განაჩენის სისრულეში მოყვანის აქტი ინახება I სპეც. განყოფილების საიდუმლო არქივში. ტ. 8. ფ. 315"...

1937 წ. მარტი, „ლიტერატურული საქართველო": „ყველა საბჭოთა პატრიოტის აღმაფრთოვანებელია, რომ ჩვენი სახელოვანი ხელმძღვანელის სტილს მუშაობაში ბეჯითად მისდევენ საქართველოს საუკეთესო ბოლშევიკები, ამიტომ ჰყვავის საქართველოს მთა და ველი. ამიტომ აფერადდა ნაირ-ნაირი მცენარეთა პლანტაციებად, ბაღებად და ვენახებად ველმინდვრები და მთის ფერდობები. ამიტომ აგუგუნდნენ სტახანოვური გატაცებით დაზგები ჩვენს საწარმოებში. ამიტომ არის, რომ ქართველ ხალხს არასოდეს უმღერია ასეთი ბედნიერი გულით და სრული ხმით, როგორც დღეს"...

ისევ მწერლის დაკითხვის ოქმიდან:

„**კითხვა:** დაგვისახელეთ თქვენი ფაშისტური ორგანიზაციის წევრები.

პასუხი: კ/რ ფაშისტურ ორგანიზაციაში შედიოდნენ ჯავახიშვილი მიხეილი, გამსახურდია კონსტანტინე, ქიქოძე გერონტი, მოსაშვილი ილო, ჭიჭინაძე კონსტანტინე, აბაშელი კოკი, მიწიშვილი ნიკოლო, კლდიაშვილი სერგო, ჯაჯანაშვილი არჩილ, ინგოროყვა პავლე, ტაბიძე ტიციან, იაშვილი პაოლო, ლეონიძე გოგლა, სულიაშვილი დავით, აბაშელი ალექსანდრე, პატარიძე მიქელ, ასათიანი ლევან, გვეტაძე რაჟდენ, დემეტრაშვილი შალვა, გაწერელია აკაკი, სახოკია თედო, წულაძე აპოლონ, ლისაშვილი იაკინთე, ქუთათელი ალექსანდრე, წერეთელი დავით, მიქაძე არჩილ".

...„დანაშაულის და სასჯელის" ერთ-ერთ ავტოგრაფში თეოდორ დოსტოევსკის უწერია: „მოისპოს გაურკვევლობა, ანუ ასე ან ისე აიხსნას ყველა მკვლელობა"... ეს ფრაზა მწერალს სხვა ხელნაწერში აღარ გადაუტანია, რამეთუ ვერ გაიშიფრა „ეს გაურკვევლობა"...

...„იცით რა მაოცებს ყველაზე მეტად? — უთქვამს ბრძოლიდან დაბრუნებულ, დაღლილ ბონაპარტეს, — ის რომ რაც უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს შექმნი და ვერც ვერაფერს დაამტკიცებ"...

ძალადობით ჩამქრალი ნათელი სახეები, ჩვენი წინაპრების წამებული სულები, რომელთა წინაშეც დუმილით უხმოდ უნდა მოვიდრიკოთ თავი, რადგან ქმედებად ქცეული სიტყვა სინამდვილის კვალებს ეხეთქება და ზუსტ მნიშვნელობას ეძებს უამრავ კითხვაზე საპასუხოდ...

არ შეიძლება ამ უმძიმესი საქმეების ნახვას და აღნუსხვას რაფინირებული ლიტერატურული სამუშაო ეწოდოს. უპირველეს ყოვლისა, გიჩნდება წინააღმდეგობის გრძნობა, რომ ვიღაცა დეტექტივის ჟანრის სპეციფიკით არ ჩაუღრმავდეს ამ საქაღალდეებს და მოგონილი გულუბრყვილობით არ იკითხოს: „თურმე ცნობილი მწერლებიც კი აბეზღებდნენო ერთმანეთს!"...

ან არ განმეორდეს ისეთი რეციდივი, რამდენიმე საარქივო დოკუმენტის გაქრობის შემდეგ ორი რეპრესირებული მწერლის შთამომავლები რომ სასტიკად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს... დღეს ხომ ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რა და როგორ ხდებოდა მაშინ... იქნებ სჯობდეს, საერთოდ დაილუქოს ეს მასალა და თუნდაც დაერქვას ამას პარადოქსი, რომ ერთგან ხსნიან არქივებს და მეორეგან ხურავენ... იქნებ ეს უკანასკნელი იყოს უფრო ეთიკური... თქვენ როგორ ფიქრობთ?

ნინო ხოფერია.

ადამიანები

„მომენატრა ხვნა და თესვა..."

საბჭოთა არმიის ყოფილი ჯარისკაცის მეორე აღსარება

— კი, მაგრამ პირველი აღსარების შესახებ რომ არაფერი გვსმენია? — იკითხავს მკითხველი.

ძველ ჩანაწერებს მოვიშველიებ და ჯარისკაც ანატოლი ბ-ს პირველ აღსარებაზეც გიამბობთ.

ამ რამოდენიმე ხნის წინ გორის რაიონის სოფელ ნიქოზში ცხინვალიდან გამოქცეული სამხედრო-ფორმიანი ჯარისკაცი დაიჭირეს, ფრიად გაუკვირდათ ზედ ცხინვალზე მიკრულ ამ სოფლის მკვიდრთ — როგორ მოახერხაო ამ პირტიტველა ყმაწვილმა ჯერ საბჭოთა არმიის, მერე — საკავშირო შინაგანი ჯარების, ბოლოს კი — ცხინვალში მოთარეშე ოსი ექსტრემისტების ყურადღების მოდუნება, მათ ცხვირწინ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში სიკვდილით უნდა დამთავრებულიყო.

სწორედ ამან აფიქრებინა ნიქოზელებს, რომ ჯარისკაცი შემოგზავნილი იყო. მაგრამ რისთვის უნდა შემოეგზავნათ იგი ჩვენთან?

საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ხანებში ცხინვალში დაბანაკებული სამხედრო ნაწილების საქმიანობაში მოდად იქცა ქართული სოფლების ძარცვა, ადრე თუ სამაჩაბლოს სოფლებში დათარეშობდნენ, ახლა სამხედროებმა „საბრძოლო მოქმედების თეატრი" გააფართოვეს და მეზობელ რაიონებსაც გადმოსწვდნენ:

შემოგზავნილად მიიჩნიეს ნიქოზელებმა დაკავებული ჯარისკაცი და გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მიიყვანეს. განყოფილებამ, როგორც ეს წესი და რიგია, შესაბამის სამხედრო უწყებას შეატყობინა და ჯარისკაცი თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულ მაღალი ჩინის სამხედროებს გადასცა. სწორედ მაშინ მომეცა საშუალება, ორიოდე წუთით გავსაუბრებოდი მას.

— არავისაც არ შემოვუგზავნივარ, უბრალოდ, გამოვიქეცი, — ხმადაბლა, როგორც მე მომეჩვენა, სინანულით მითხრა ანატოლიმ, — თუ ცოცხალი დავრჩი, იცოდეთ, კიდევ გამოვიპარები. მიზეზი? ჩვენ საბჭოთა არმია კი არა, საბჭოთა ადამიანის მკვლელი არმია ვართ, აი, რატომ მძულს არმიაში სამსახური.

ოქმი გაფორმდა, ბიჭი წაიყვანეს და სიმართლე გითხრათ, გულზე რაღაცნაირი სევდა დამელექა ჯარისკაცის ბედის, მისთვის არასასიამოვნო მოვლენების შესაძლო განვითარების გამო.

მას შემდეგ ბარე ორი თვე გავიდა. ამ დღეებში კი სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების გორის რეგიონული ორგანიზაციიდან თავაზიანი მოწვევა მივიღე, როგორც ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრმა ელგუჯა ვეშაპურმა მითხრა, „საინტერესო პიროვნების გასაცნობად".

საზოგადოების შტაბ-ბინაში შევედი თუ არა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი გამხდარი ყმაწვილი მომიახლოვდა და რუსულად მითხრა:

— გამარჯობათ, მე თქვენ გიცნობთ, ამ გაზაფხულზე ქალაქის მილიციაში შეგხვდით, მე მაშინ გითხარით; თუ სადმე არ მომკლეს, ისევ გამოვიპარები მეთქი. როგორც ხედავთ, პირობა შევასრულე.

ჩემს წინ ანატოლი ბ. იდგა.

ერთმანეთი გულთბილად მოვიკითხეთ. მასპინძლების წინადადებით ანატოლიმ იქვე გამართა სახელდახელო პრესკონფერენცია.

აი რა გვიამბო მან:

— აზერბაიჯანში ვმსახურობდი, მოტომსროლელ დივიზიაში. წლეულს ცხინვალში წამოგვიყვანეს. უფროსებმა გვითხრეს; საქართველოში მივდივართ, მდიდარი ქვეყანაა, ძარცვეთ და გამდიდრდითო.

ჩამოვედით ცხინვალში, მეორე თუ მესამე დღეს ჩაგვიტარეს ინსტრუქტაჟი და დაგვარიგეს, სამხედროებმა ოსების მხარე უნდა დაიჭირონ, ქართველებს კავშირში ყოფნა აღარ უნდათ, და ამდენად, ჩვენი მტრები არიანო.

დაიწყო ქართული სოფლების აწიოკება. ვინც ქართულ მოსახლეობაზე ბანდიტურ თავდასხმებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა, დღიურად დამატებით 15-20 მანეთს აძლევდნენ და ნადავლიდანაც წილი ეკუთვნოდა.

მე და ჩემმა რამოდენიმე მეგობარმა თავიდანვე უარი ვთქვით სადამსჯელო ექსპედიციებში მონაწილეობაზე და სამშენებლო ბატალიონში გადაგვიყვანეს, გარდა ამისა, ხან სამზარეულოში კარტოფილს გვაფცქვნევინებდნენ, ხანაც საპირფარეშოებს ვწმენდდით.

საღამოობით პოლკში არყის სმა ჩაღდებოდა, ოსებსაც მოჰქონდათ დასალევი და სანაცვლოდ იარაღს და ტყვია-წამალს თხოულობდნენ.

ურთიერთმტრობის, ძალადობისა და სისასტიკის ატმოსფეროს ვერ გავუძელი. გამოვიპარე. უკან დამაბრუნეს. ეს ყველაზე მწარე დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, მიმიყვანეს თუ არა ნაწილში, სასტიკად მცემეს, ჯერ რამოდენიმე დღე სარდაფში ვეგდე, მერე ჰაუპტვახტში გამამწესეს, წამება და დამცირება არ მაკლდა. საცხრამისოდ გამიმეტეს, მე კი ავდექი და იმავე ღამეს ისევ გამოვიპარე, ახლა სხვა მიმართულებით წამოვედი. სოფლებში გამოჩენისა მეშინოდა და ტყე-ტყე ვიარე, ბოლოს, როცა ჩემის აზრით, სამშვიდობოს გამოვაღწიე, ტყიდან გამოვედი, გზაზე დავდექი და პირველსავე შემხვედრი ავტომანქანა გავაჩერე, მძღოლს ავუხსენი ჩემი გასაჭირი, მან მაშინვე სახლში წამიყვანა, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩამაცვა და საჭმელიც მაჭამა. ეს კაცი აღმოჩნდა ოთარ ხომასურიძე სოფელ მეჯვრისხევიდან.

— ახლა რას ფიქრობ? — ვკითხე ანატოლის.

— მშვიდობიანი სოფლების რბევა ჩემი საქმე არ არის, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა ჯარისკაცმა, — ხმელნიცკის ოლქიდან ვარ, გლეხის ოჯახიდან, ჩემი დღეები მინდორში მაქვს გატარებული, ჩემი ხელობა ტრაქტორია, ფართო პროფილის მექანიზატორი ვარ. გაზაფხულია ახლა, მომენატრა ხვნა და თესვა, მინდვრად მუშაობა. ან ტრაქტორის საჭე მანდეთ, ან სხვა საქმეზე დამასაქმეთ, თქვენც გამოგადგებით და ჩემს თავსაც.

ამას უკვე ყოფილი ჯარისკაცი ლაპარაკობდა, მშვიდობიან შრომას, მიწასთან ჭიდილს დანატრებული ჭაბუკი. იქვე გადაწყდა ანატოლის შრომითი დასაქმების საკითხიც: მთიან, მყუდრო სოფელში ტრაქტორისტობა შესთავაზეს. გახარებული იყო ყმაწვილი, კმაყოფილი იყვნენ მერაბ კოსტავას საზოგადოების იქ შეკრებილი წევრები.

მადლობა მოვახსენე მასპინძლებს ნანახისა და განცდილისათვის და დავემშვიდობე. დერეფანში მოვდიოდი და მესმოდა, უკვე მერამდენედ სთხოვდნენ ორგანიზაციიდან საქალაქთაშორისო სატელეფონო კვანძის მორიგეს, ხმელნიცკის ოლქთან დაგველაპარაკეთო.

ეს იმას ნიშნავს, რომ ანატოლის ბედი საიმედო, კეთილი მეგობრის ხელშია.

„ვისაც ვუყვარვართ, ის გვიყვარს", მგონი, ასეა ერთ ხალხურ ლექსში.

გურამ ვაშაკიძე.

თანადგომა

საქართველოს რესპუბლიკის ხალხს

ძვირფასო მეგობრებო! ქალაქ ქუმაირის შვილდაკარგულ დედათა კომიტეტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ქართველ ხალხს თავსდატეხილი დიდი უბედურების გამო.

ძვირფასო დებო და ძმებო, თქვენს უსაზღვრო ვარამს იზიარებს მთელი სომეხი ხალხი, რომელსაც ასევე მოუწია საზარელი განსაცდელის გადატანა. ამ ძნელბედობის ჟამს, როცა ჩვენი ორი ხალხი ესწრაფვის დამოუკიდებლობას, იმპერია არ თაკილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს ყველაფერი, უბედურებაც კი. გამაგრდით, ძვირფასო მეგობრებო, რადგან ჩვენი თავისუფლება ჩვენი აღორძინების საწინდარია. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ სამძიმარს და გისურვებთ დიდ ენერგიას იმისათვის, რომ თავი დააღწიოთ ამ რთულ ვითარებას.

არაქსი პოღოსიანი,
შვილდაკარგულ დედათა კომიტეტის თავმჯდომარე.
საქინფორმი

დახმარება

თბილმრეწვაპრომის გლდანის № 1 უნივერმაღის თანამშრომელთა პირადი დანაზოგიდან 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულებს გაეგზავნათ 2500 მანეთის ღირებულების კვების პროდუქტები.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლდა ნოდარ ცქიტიშვილი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ვიქტორ იაშვილი.

საქინფორმი.

გამოსათხოვარი

დავით ოქრუაშვილი

უდროოდ, მოულოდნელად შეწყდა ლამაზი სიცოცხლე, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა კიდევ ერთი უსახელო უფლისციხელი, რომლის გული სამშობლოს თავისუფლებისათვის, მისი ბედნიერი მომავლისათვის ძგერდა.

უპრეტენზიო, ერთგული და გულღია ვაჟკაცი იყავი, ძმაო. ეროვნული მოძრაობის აღორძინებისთანავე ბედკრული სამშობლოს თავისუფლებისათვის უყოყმანოდ შეები უღელში, რომელიც დღეს ქართველ ხალხს გაუდევს მხრებზე, და ჭაპანსაც ვაჟკაცურად ეწეოდი. ყველგან იქ იდექ, სადაც შენს ერს სჭირდებოდი. არც სამაჩაბლო გავიწყდებოდა და არც ზემო იმერეთი თუ რაჭა. ჯან-ღონეს არ ზოგავდი, სიცოცხლეს არ იშურებდი. შენ ხომ ერთერთი პირველი იყავი იმათ შორის, ვინც ეროვნული გვარდიის რიგებს მიაშურა. უზომოდ ხარობდი ჩვენი ერის წარმატებით და წინსვლით. ვინ იფიქრებდა, თუ ასე უეცრად და უმოწყალოდ შეწყდებოდა შენი სიცოცხლე. გონს ვერ მოვსულვართ, შენს არყოფნას ვერ შევრიგებივართ.

მშვიდობით ძმაო, დათო, იავარდი დაგეფინება სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე. მარად დარჩება ჩვენს ხსოვნაში შენი ლამაზი სახე. სიყვარულითა და მოწიწებით მოგიგონებთ, დათო ოქრუაშვილს, უანგარო მამულიშვილსა და ალალ-მართალ ვაჟკაცს.

წმინდა სანთელი და სიყვარული გაგინათებს გზას მარადისობისაკენ.

თანამებრძოლთა ჯგუფი

ლილი კასრაძე

შენ სხვის საშველად მიიჩქაროდი, სხვისი ტკივილის შესამსუბუქებლად... იქნებ სხვის სიკვდილთან შესარკინებლადაც კი, მაგრამ საკუთარი სიკვდილი წამოგეწია და დაგაგვიანა, სამუდამოდ დაგაგვიანა....

11 ივნისს გამთენიისას, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ავტოკატასტროფაში დაიღუპა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი ლილი კასრაძე.

ექიმის პროფესია თავისთავად გულისხმობს სხვისი ტკივილის გაზიარებას, უანგარო სიკეთესა და სულგრძელობას. ჩვენ ამასთან ერთად დიდი ვაჟკაცობაც მოგვეთხოვება. ასეთი იყავი შენ 10 წლის მანძილზე.

ძნელია წარმოიდგინო, რომ სამუდამოდ დავკარგეთ შენი ნათელი ღიმილი, სიკეთით გასხივოსნებული გამოხედვა.

მშვიდობით, ლილი, მფარველ ანგელოზად მოევლინები იმ ქვეყნიდან შენს პაწია შვილებს, შენს მეგობრებსა და ახლობლებს. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების კოლექტივი

წერილი რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თ. სიგუას

გაცნობებთ, რომ ამა წლის 16-დან 20 მაისამდე ვიმოგზაურე სამაჩაბლოში მიწისძვრის და წყალდიდობისაგან გამოწვეული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

აღმოჩნდა, რომ ისედაც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს განსაკუთრებული ნგრევა და ზიანი მიაყენა 29 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ და [illegible] ტობრივად მთლიანად დაინგრა სოფ. ხრეითი, ათობით სახლი დაინგრა და საცხოვრებლად უვარგისი შეიქნა სვერში, ქემერტში, ძარწემში, კეხვში, ქურთაში, აჩაბეთში, თამარაშენსა და სხვა სოფლებში.

მდგომარეობას სერიოზულად ამძიმებს ისიც, რომ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების და ოსი ექსტრემისტების მიერ ბლოკადაში მოქცეულ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებამდე ვერ აღწევს საქართველოს და მსოფლიოს სხვა ხალხების მიერ მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონებისათვის გათვალისწინებული დახმარება.

ჯერჯერობით დაუდგენელია სრული მატერიალური და ეკონომიკური ზარალი და შესაბამისად არაა დასახული მიწისძვრისაგან მოყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის სახელით სამთავრობო კომისიას ვთხოვთ დაჩქარებას შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად:

1. უახლოეს დროში დამთავრდეს მიწისძვრისა და წყალდიდობისაგან მოყენებული ზარალის შეფასება და გაიცეს დაზარალებულთათვის მატერიალური დახმარება (სოცდაზღვევა და სახელმწიფო დახმარება). აღიძრას დაზარალებული ოჯახებისთვის სააშენებლო მასალების გამოყოფა და ფულადი სესხის მიცემის საკითხი.
2. გამოიყოს პირველი დანიშნულების სასურსათო პროდუქტების ფონდი, რომელიც მიეყიდება მოსახლეობას;
3. ქურთის საავადმყოფო დაკომპლექტდეს კვალიფიციური მედპერსონალით და აღიჭურვოს პირველადი დახმარების მოწყობილობით, მასალითა და მედიკამენტებით.
4. საინფორმაციო საშუალებებით გაშუქდეს ორმაგად დაზარალებულ სამაჩაბლოს მოსახლეობის მდგომარეობა, რათა საქართველოს და მსოფლიო ხალხების ყურადღება მიეპყროს აღნიშნულ პრობლემას.

სამაჩაბლოს ქართველ მოსახლეობას იმედი აქვს ამ უაღრესად ძნელბედობის ჟამს მას დახმარების ხელს გაუწვდის საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, სამთავრობო კომისია, წითელი ჯვრის საზოგადოება, გორის რაიონის პრეფექტურა და მთლიანად საქართველო.

ჭ. კახნიაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშტარიას ქ. № 29.
ინდექსი 66684

საქართველოს რესპუბლიკა